დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მოდის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26.09.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.12.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 17

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 17

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 30

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 40

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 35

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 50

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბერნარდ კერნეგერი, ვენის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტი, ავსტრია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, შპს-სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია გრძელიძე, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მგალობლიშვილი, , სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მოდის დიზაინი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Fashion Design
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მოდის დიზაინის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	--
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია 05.12.2018 გადაწყვეტილება N188
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	კონკურსი შემოქმედებით ტურში, სადაც ყურადღება ეთმობა ნატურმორტის დრაპირებით დახატვას.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა 2018 წელს დაარსებული „დიზაინის (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)“ ყოფილი საბაკალავრო პროგრამისგან; ახალ პროგრამაში შედის იგივე სპეციალობები, მათ შორის „მხატვრული ხის კვეთა“ და „ავეჯის დიზაინი“, რაც 2013 წლიდან არსებობს (აკრედიტებულია 2013 წლის 11 დეკემბერს, N215 გადაწყვეტილებით).

პროგრამა, რვა სემესტრის ხანგრძლივობით მოიცავს 240 ECTS კრედიტს.

პროგრამა ხორციელდება BATU-ს მთავარ შენობაში, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე.

თვითშეფასების ანგარიშიდან შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს აპლიკანტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობას:

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 26 სექტემბერს გაიმართა. ზოგადად, უნივერსიტეტმა დიდი ძალისხმევა გაწია, რომ ვიზიტი ყოფილიყო ნაყოფიერი, დისკუსიები კი ღია. ექსპერტთა ჯგუფი გრძნობდა დაწესებულებისგან პატივისცემას; ამიტომაც, მასპინძლობისთვის გვსურს კიდევ ერთხელ გადავუხადოთ მადლობა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი ჩატარდა პროფესიონალურ გარემოში და შეუფერხებლად, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება იდგა გამოწვევის წინაშე - კერძოდ, იგი შეფასების ორ პროცესს გადიოდა ერთსა და იმავე დღეს.

დადგენილმა დღის წესრიგმა საშუალება მოგვცა განგვეხილა ყველა აქტუალური საკითხი, ასევე მოხერხდა წინასწარ და ვიზიტის დროსაც, მცირე ცვლილებების შეტანა.

შევხვდით ძალიან მოტივირებული და თავდადებულ ადამიანებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და ადმინისტრაციას. იყო ძლიერი განცდა, რომ "მოდის დიზაინის" საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა დიდი ძალისხმევით და ყველას სურს მის განვითარებაში მაქსიმალური წვლილის შეტანა.

როგორც პატარა უნივერსიტეტი, BATU შედარებით მაღალი გამოწვევების წინაშე დგას აკრედიტაციის ყველა სტანდარტის სრულად შესრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ იმის გათვალისწინებით თუ რა ხარჯების გაწევა შეუძლიათ პროცედურულ საკითხებზე და ასევე ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც ნამდვილად არ არის მორგებული მცირე ზომის სახელოვნებო (სასწავლო) უნივერსიტეტებზე. ამ პრობლემურ სიტუაციაზე რომ პირდაპირი რეაგირება არ ხდება, ამის კონკრეტული ფორმა გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშსა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვისურვებდით უნივერსიტეტთან ამ საკითხების უფრო ღიად განხილვას, გვესმის, რომ არსებული აკრედიტაციის პროცედურები მათი პოტენციურად საშიში საბოლოო შედეგებით, არ უწყობს ხელს ხარვეზებზე ღიად საუბარს. ამგვარად,

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

შეიძლება ითქვას რომ ღიაობის ნაკლებობა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ რომ ეროვნული ჩარჩოდან იყო განპირობებული.

შედეგად, ჩვენ მივმართავთ რჩევით არა BATU-ს, არამედ ეროვნულ ხელისუფლებას: ეროვნულ დონეზე, სტანდარტებისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებების მორიგი შეფასებისას, კონკრეტულად უნდა გაითვალისწინოთ, საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, განსაკუთრებით მცირე ზომის დაწესებულებებისთვის, და მითუმეტეს სახელოვნებო განათლების სფეროს დაწესებულებებისთვის დანერგილი პროცედურების ადეკვატური ხარჯებისა და მოთხოვნების დაწესება. ამ სფეროში სასწავლო პროგრამებს გაცილებით მეტი რესურსი სჭირდება, ვიდრე სხვა საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობას, და უმაღლესი სახელოვნებო განათლების შედარებით მცირე ზომის დაწესებულებები ვერ სარგებლობენ მასშტაბური ეკონომიით ისე, როგორც ამას უფრო დიდი დაწესებულებები აკეთებენ. ამ სიტუაციის პასუხისმგებლიანი მოგვარების მიზნით, ადეკვატური იქნება დამატებითი სახელმწიფო დაფინანსება ან ნაკლებად მკაცრი მიდგომა ზოგიერთ სტანდარტთან დაკავშირებით (რაც გამართლებულია ასეთ დაწესებულებებში მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის და მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობებით).

დამატებითი კომენტარი, ექსპერტთა ჯგუფის საერთაშორისო თავმჯდომარის გადმოსახედიდან: მთელი ევროპის მასშტაბით, არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მიდგომა და სისტემა, ყველა დაკავშირებულია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015). ეროვნული სისტემები ითვალისწინებენ ეროვნულ სპეციფიკას და ირიბად განიხილებიან ENQA წევრობითა და EQAR-ის პასუხისმგებელი სააგენტოების რეგისტრაციით.

საქართველომ ამ დროისთვის ჩამოაყალიბა ფუნქციონალური, მაგრამ შედარებით მკაცრი ჩარჩო ისეთი ელემენტებით, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში, რითაც ერთ ეროვნულ სისტემაში გაერთიანებულია სხვადასხვა ქვეყნის დატვირთული მიდგომები (მაგ. თითოეული სასწავლო პროგრამის რეგულარული აკრედიტაცია, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა და შეფასება, კონკრეტული საგნის ჩარჩოები და მრავალი სხვა). თუ გავითვალისწინებთ საქართველოს კონტექსტს, რომელიც, როგორც ჩანს, ზოგადად, ევროკავშირის ბევრ წევრ სახელმწიფოსთან შედარებით ხასიათდება რეგულაციების დაბალი დონით, შესაძლოა სასარგებლო იყოს უფრო ფოკუსირებული და ნაკლებად ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვა, მეტი რესურსის გამოყოფა საგანმანათლებლო შინაარსისთვის და ნაკლები რესურსების დათმობა ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ხარჯებსა და სხვადასხვა სტანდარტებითა და ქვესტანდარტებით განსაზღვრული აქტივობებით მიღწეულ კონკრეტულ პოზიტიურ ეფექტებს შორის ბალანსის უფრო ყურადღებით გადახედვა შესაძლოა მომგებიანი იყოს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მიუხედავად იმისა, რომ აღმოვაჩინეთ ბევრი წარმატებული პრაქტიკა, რომელიც განპირობებულია კომპეტენციითა და მაღალი მოტივაციით, მოგვიწია მთელი რიგი რეკომენდაციების ფორმულირება აკრედიტაციის სტანდარტებთან BATU-ს პროცედურებისა და ჩარჩოს შესაბამისობაზე. გარდა ამისა, გვაქვს რჩევები იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი

გარე და ასევე ნაწილობრივ საერთაშორისო პერსპექტივიდან მიგვაჩნია რომ სასარგებლო იქნება შემდგომი დისკუსიებისა და განვითარებისთვის.

ერთი გამონაკლისის გარდა, (ქვე-ტანდარტი 5.2) არცერთი ქვესტანდარტი არ შეფასებულა იმაზე დაბალი შეფასებიდ ვიდრე - „შეესაბამება მოთხოვნებს“ ან „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, ქვესტანდარტი 5.2 („გარე ხარისხის შეფასება“) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“. აქ, კრიტიკული შეფასება ასახავს შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების წარმატებით დაკავშირების მნიშვნელობას ყოველდღიურ ინსტიტუციურ პრაქტიკასთან; ამგვარად, ჩვენ მოვუწოდებთ BATU-ს, შეიმუშაოს ამის კონკრეტული გზა, იდეალურ შემთხვევაში, დამატებითი პროცედურების შექმნის გარეშე, მაგრამ ამ საკითხების არსებულში ინტეგრირებით.

სტანდარტები, რომლებიც შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“:

1.1, 1.3,1.4, 2.3, 4.1, 4.2, 4.4, 4.5 და 5.1.

სტანდარტები, რომლებიც შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“:

1.2, 1.5, 2.1, 2.2, 2.4, 3.1, 4.3, და 5.3.

სტანდარტი, რომელიც შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან: 5.2.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1.2

- განაახლეთ სწავლის შედეგები ისე, რომ
    - o კონკრეტულად პასუხობდეს „მოდის დიზაინს“ და პროგრამის თემის თანამედროვე კომპეტენციების მახასიათებლებს - არამხოლოდ რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, არამედ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენებსა და მოთხოვნებს.
    - o წარმატებული ბალანსი იყოს დაცული ინდივიდუალურ პოტენციალს, ეკონომიკურ საჭიროებებსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას შორის, როგორც ეს განსაზღვრულია პროგრამის მიზნებში;
    - o შემოქმედებითი და ექსპერიმენტული პროცესის დაუფლებაზე უფრო სრულყოფილად მოხდეს ფოკუსირება, რაც გადამწყვეტია საუკეთესო მოდის დიზაინისთვის;
    - o მოხდეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ ცოდნისა და უნარების უფრო მჭიდრო დაკავშირება მოდის დიზაინის სპეციფიკურ კომპეტენციებთან

სტანდარტი 1.5

-

- იპოვნეთ ბალანსი კონკრეტულ თემებზე ორიენტირებულ კურსებსა და იმ კურსებს შორის, რომლებიც საშუალებას აძლევენ სტუდენტებს ჩამოაყალიბონ ავტონომიური ინდივიდუალური პრაქტიკა, რომელიც სცილდება წინასწარ განსაზღვრულ თემებს და რომელიც ასევე სტუდენტების მიერ სხვა კურსებზე შეძენილი თეორიული და ტექნოლოგიური ელემენტების შემოქმედებითად გამოყენებას;

- თემების შინაარსის კონცენტრირება კურსებში „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“, ანთროპომეტრიული, დიზაინის, მასალის შესწავლისა და ტექნოლოგიური საკითხების თანმიმდევრობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;

სტანდარტი 2.1

- BATU -ს ვებგვერდის საშუალებით აპლიკანტებისთვის ინფორმაციის მუდმივი მიწოდება, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი ტურის თარიღებს, მოთხოვნებს, კრიტერიუმებს და საკონტაქტო ინფორმაციას ინდივიდუალური შეკითხვებისთვის.

სტანდარტი 2.2

- ECTS-ის დატვირთვის მინიჭება იმ აქტივობებზე, რომლებიც სასარგებლოა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და რომლებიც ამჟამად განიხილება, როგორც მხოლოდ დამატებითი აქტივობები და მოთხოვნები (მაგ. ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობა, კამპუსის ღონისძიებებში წვლილის შეტანა, კონფერენციებზე დასწრება და ა.შ);- თავისუფალ არჩევით საგნების ნაწილად აღიარება მაინც.

- დამსაქმებლებთან ან დარგობრივ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიუთითეთ სტუდენტების რაოდენობა.

სტანდარტი 2.4

- გასაჩივრების მექანიზმის დებულების გამჭვირვალობის და სტუდენტებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ლექტორის (რომლის შეფასებაც გასაჩივრდა) სააპელაციო კომისიაში მონაწილეობის როლი და უფლებამოსილება.

- შეცვალეთ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რათა სტუდენტების შრომა შეფასდეს ერთზე მეტჯერ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობა.

სტანდარტი 3.1

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სათანადო შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

სტანდარტი 4.3

- პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობების დანერგვა სწავლების მეთოდებისა და პედაგოგიური კომპეტენციის კუთხით, განსაკუთრებით სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით - სამეცნიერო და მხატვრული/დიზაინის პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული საქმიანობის შესაბამისი ხარისხით.

სტანდარტი 5.2

- დარწმუნდით, რომ გარე შემფასებლები იღებენ ყოვლისმომცველ მონაცემებს თავიანთი მუშაობისთვის, და დარწმუნდით, რომ გარე შეფასების შედეგები სათანადოდ არის განხილული და გათვალისწინებული შემდგომი განვითარებისთვის;

- დარწმუნდით, რომ პროგრამის ყველა მიზანი და სწავლის შედეგი - ამ შემთხვევაში სოციალური პასუხისმგებლობა / მდგრადი განვითარება - სათანადოდ არის გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისთვის (ასევე იხილეთ რეკომენდაციები სტანდარტი 1.2-ში).

სტანდარტი 5.3

- პერიოდულად შეადარეთ საგანმანათლებლო პროგრამა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსს პროგრამებთან, ასევე მოამზადეთ დეტალური შედარებითი ანალიზი პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტანდარტი 1.3

- ჩაატარეთ პროგრამული დისკუსიები, რომელსაც უძღვებიან ევროპული ქსელები და ასევე შეიტანეთ ისეთი შედეგები, როგორიცაა inter}arte პროექტის შედეგად მიღებული Tuning დოკუმენტი.

https://www.eq-arts.org/wp-content/uploads/2016/09/3_Tuning-Design.pdf

სტანდარტი 1.4

- - გარდა ინდივიდუალური კონსულტაციისა, მეტი წერილობითი ინფორმაცია მიაწოდეთ საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში თავისუფალი არჩევითი კურსებისთვის გამოყოფილი 60 ECTS კრედიტის ინდივიდუალურად ფორმირების სხვადასხვა გზების, კონკრეტულად, შესაძლო მაინორ პროგრამების რეგულაციებისა და შინაარის შესახებ.

- სასურველია დიზაინის სფეროში სასწავლო პროცესის სპეციფიკის ასახვა და უფრო მცირე მოცულობის კურსების რაოდენობის შემცირება, რომლებიც, პირველ რიგში, ორიენტირებულია უტილიტარული უნარების განვითარებაზე;

- სტუდენტის ინდივიდუალური სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაძლიერება (კრიტიკული/კრეატიული აზროვნება და ინდივიდუალური პრაქტიკა);

- გააგრძელეთ ბიზნეს სექტორისა და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, როგორც ინდივიდუალური პროექტების დაშვების ერთ-ერთი გზა, რაც გააერთიანებს თეორიულ, პრაქტიკულ და შემოქმედებით ასპექტებს.

- საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ინდუსტრიულ ორგანიზაციებთან.

- უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდებზე ექსტრაკურიკულუმის აქტივობების (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო) გამჭვირვალედ წარდგენა, როგორც ესენი ასახულია პროგრამის თვითშეფასებაში.

- სტუდენტებს შესთავაზეთ სპეციფიური ინტერდისციპლინური არჩევითი საგნები, კონსტრუირების კომპლექსურ და კრეატიულ მეთოდებზე.

სტანდარტი 1.5

- გააფართოვეთ ყურადღება ცალკეულ თემებზე და საკითხებზე - ასევე თეორიულ დარგში - ინტერდისციპლინური მიდგომებით;

- პროგრამაში ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის მოდის, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიების თემების ეტაპობრივი დანერგვა;

- გაამდიდრეთ კურსების „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“-ის ძირითადი ლიტერატურა, პროგრამის დონის შესაბამისი სხვა სახელმძღვანელოებით.

- ძირითადი კურსების შინაარსში გაზარდეთ სამომხმარებლო პარამეტრების შესახებ თეორიული მასალა.

- კურსებში: "სამოსის კომპოზიცია 1, 2, 3, 4, 5, 6" და ასევე "მოდის ტენდენციები", სახელმძღვანელო „სამოსის მხატვრული კონსტრუქცია“ გადაიტანეთ ძირითადი ლიტერატურის ნუსხიდან დამატებით ლიტერატურაში და სანაცვლოდ გაამდიდრეთ ძირითადი ლიტერატურა კურსებისთვის შესაბამისი სახელმძღვანელოებით;

- შეცვალეთ კურსების შინაარსში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინოლოგია, როგორიცაა: „მჭიდროდ მორგება“("fitting snugly“), „მოსინჯვა“ ("trying on“) და ჩაანაცვლეთ სხვა უფრო ზუსტი აკადემიური ტერმინოლოგიით: „მჭიდროდ მორგება“ ("tight-fitting"), "გაზომვა" ("measurement“) და სხვა.

სტანდარტი 2.1

- განიხილეთ კრიტერიუმების კორექტირება და, საბოლოოდ, შემოქმედებითი ტურის დავალებების გაფართოება, რათა უკეთ შეფასდეს პროგრამის ყველა სწავლის შედეგით მოცემული მიმართულებით წარმატებით მუშაობის შესაძლებლობა.

- შეასწორეთ სასწავლო გეგმაში არსებული მცირე ტექნიკური ხარვეზი, სადაც შემოქმედებით ტურში აბიტურიენტისთვის მიცემული დავალების ნაწილში: ნაცვლად „ხატვა - ნატურმორტი, რომელიც შედგება 2/3 ელემენტით და დრაპირებით - ფანქარში“, უნდა იყოს: „ხატვა - ნატურმორტი, რომელიც შედგება 2-3 ელემენტით და დრაპირებით - ფანქარში“.

სტანდარტი 2.2

- რაც შეეხება პროფესიულ სფეროში პრაქტიკას, სილაბუსებში უფრო კონკრეტულად აღწერეთ, რა სახის პრაქტიკული სამუშაოს შესრულება მოეთხოვებათ სტუდენტს;

- პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში სხვა აქტივობებთან შედარებით პრაქტიკული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული შეფასების კონკრეტული წილის გაზრდა;

- გააფართოვეთ თანამშრომლოვითი აქტივობები ერთობლივი ღონისძიებების, გამოფენებისა და კონკურსების ორგანიზებით, ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების მონაწილეობით, რომ გაიზარდოს თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

სტანდარტი 2.3

- გავითვალისწინოთ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალურ პრაქტიკასთან და ავტონომიურ სწავლასთან დაკავშირებით, ასევე სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისად დანერგვის თვალსაზრისით.

სტანდარტი 2.4

- კურსების „მეწარმეობის საფუძვლების“ და „შემოქმედების ფსიქოლოგიის შესავალის“ შუალედური გამოცდის თარიღის შეცვლა, ისე რომ დასკვნით გამოცდამდე გონივრული ვადა იყოს დარჩენილი.

- შეცვალეთ რეგულაცია პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის შეფასებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოთ რომ შეფასება შედგეს არა ყველა, არამედ კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.

- პლაგიატის შემთხვევაში გამჭვირვალე გახადეთ, თუ როგორ ადგენენ დარღვევის დონეს პასუხისმგებელი მასწავლებლები და როგორ განიხილება პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის შედეგები.

- პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმი დაინერგოს უფრო ადრეულ კურსებზეც, სადაც კურსის ხასიათი იძლევა ამის საშუალებას.

სტანდარტი 4.3

- შექმენით შეფასების შედეგების განხილვის კონკრეტული შესაძლებლობები, პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილებით, იქნება ეს ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ დონეზე.

– შექმენით პროგრამის ხელმძღვანელისთვის პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობები, განსაკუთრებით საერთაშორისო ქსელის კუთხით დიზაინის/მოდის დიზაინის კონტექსტში (მაგ. CUMULUS კონფერენციებში მონაწილეობა, პროექტის აქტივობები ევროპულ დონეზე, ან ELIA ლიდერთა სამიტებში).

სტანდარტი 4.4

- შეისწავლეთ რელევანტური საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოდის დიზაინში, მათი სახელოსნოების მოწყობისა და სტუდენტების მიერ ინდივიდუალურად წარმოების შესაძლებლობების კუთხით.

- საკუთარი რესურსებითა და გარე პროვაიდერებთან თანამშრომლობის გაძლიერებით შეიმუშავეთ განვითარების კონკრეტული სტრატეგია საამქრო ობიექტებისა და დამატებითი ტექნოლოგიების გაფართოებასთან დაკავშირებით; დარწმუნდით, რომ ყველა ხელმისაწვდომი შესაძლებლობა და გამოყენების პირობები გამჭვირვალეა სტუდენტებისთვის.

სტანდარტი 4.5

- შეიმუშავეთ პროგრამისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტები. ეს ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვას და პროგრამების მენეჯმენტს;

- ასახეთ დამატებითი ფინანსური მოთხოვნები მოდის დიზაინის პროგრამის სტრატეგიული მიზნების კუთხით.

- პროგრამის ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად დაფინანსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

სტანდარტი 5.1

- შექმენით ფორმალური რეგულაცია, რომელიც გააუქმებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფორმალურ პასუხისმგებლობას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება მის ფუნქციას, როგორც მოდის დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელს.

სტანდარტი 5.3

- კვლავ შეეცადეთ განახორციელოთ კოლეგებს შორის აუდიტორიებში ურთიერთდაკვირვების პროცესი, როგორც ბხსუ–ს კოლეგებს შორის ღია გაცვლითი კულტურის ნაწილი, რაც ასევე ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების უნარების შემდგომ გაფართოებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- BATU წარმატებით ახერხებს მოდის დიზაინის სტუდენტების ინტეგრირებას კამპუსში, ამისათვის იყენებს კამპუსსა და საერთო აქტივობებს, როგორიცაა მოდის დიზაინის აქტივობებისთვის განკუთვნილი სცენა, აძლევს სტუდენტებს ღირებულ შესაძლებლობებს, შეასრულონ შემოქმედებითი დავალებები დაცულ და თუმცა რთულ გარემოში.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
  - დასკვნის თაობაზე ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კომენტარების მიღების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები და გადაწყვიტა, რიგ შემთხვევებში რეაგირება მოეხდინა დასკვნის პროექტში შეტანილი ცვლილებებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი შეენარჩუნებინა თავდაპირველი პოზიცია. დეტალურად:
  - **სტანდარტი 1.2**
  - ბხსუ-ს მხრიდან გაგება ამ შემთხვევაში ძალიან დასაფასებელია.
  - **სტანდარტი 1.4**
  - მადლობელი ვართ დამატებითი ახსნა-განმარტებისათვის, რომლებიც შეესაბამება იმ დიალოგის კულტურას, რომელიც გვქონდა ბხსუ-ში ვიზიტის დროს. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი რეკომენდაცია გადაგვეტანა რჩევებში. არჩევითი და დამატებითი სპეციალობის საკითხზე ფორმალური და წერილობითი მასალის

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

შეთავაზება, როგორც სტუდენტების, ასევე აპლიკანტებისათვის, მაინც რჩება უაღრესად მიზანშეწონილად.

- **სტანდარტი 1.5**
- ჩვენი ღრმა რწმენის გამო, რომ სტუდენტებს სჭირდებათ მეტი თავისუფლება მათი ინდივიდუალური მხატვრული და შემოქმედებითი განვითარებისათვის, რაც დაფუძნებულია დიზაინის უმაღლეს განათლებაში ბევრ თვალსაჩინო საერთაშორისო მაგალითზე, აქ ჩვენ ვიცავთ ჩვენს რეკომენდაციებს. ჩვენ მოვუწოდებთ ბხსუ-ს - ასევე 5.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით - გააძლიეროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გამოკვლევა და იპოვოს გამოსავალი, რომელიც დახასიათდება ნაკლები ფრაგმენტულობით და მეტი ფოკუსირებით სტუდენტების მხატვრულ და შემოქმედებით განვითარებაზე.
- რაც შეეხება თეორიულ მასალას, გამართლებულად მივიჩნევთ ამ რეკომენდაციის რჩევებში გადატანას.
- **სტანდარტი 2.1**
- მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი რეკომენდაცია უკვე შესრულებულია; ადრე, ჩვენს მიერ ვებგვერდის მონახულების დროს ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომია, არ იყო წარმოდგენილი ბხსუ-ს ვებ-გვერდზე.
- ამასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია უნდა დარჩეს, მაგრამ ბხსუ-ს შეუძლია ის ჩათვალოს უკვე განხორციელებულად, თუ მოახერხებს ამ არსებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მთელის წლის განმავლობაში.

- **სტანდარტი 2.2**
- მას შემდეგ რაც გავიგეთ, რომ ბხსუ-თვის გაუგებარი აღმოჩნდა ჩვენი რეკომენდაცია სხვადასხვა შესაბამის აქტივობებისათვის ECTS კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით, ჩვენ ხელახლა ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაცია, რათა მისი მნიშვნელობა გადმოგვეცა უფრო მოკლე გზით. გარდა ამისა, ჩვენ მოვუწოდებთ ბხსუ-ს, ასევე განიხილოს რეკომენდაციის ზემოთ მოცემული ტექსტი, რადგან იქ შემოთავაზებულია დამატებითი განმარტებები.
- რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას ზოგად კონტრაქტებში: ვინაიდან ეს მოთხოვნა სტანდარტის მკაფიო ნაწილია, დამსაქმებელსა და სტუდენტს შორის ინდივიდუალური შეთანხმებები არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად შემცვლელად - თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ამ საკითხს თავისთავად არ განიხილავს დიდად მნიშვნელოვნად.
- **სტანდარტი 2.4**
- ბხსუ-ს მხრიდან გაგება ამ შემთხვევაში ძალიან დასაფასებელია.
- **სტანდარტი 3.1**
- ჩვენი რეკომენდაცია საერთაშორისო მობილობაზე კვლავ ეფუძნება სტანდარტით დადგენილ მკაფიო მოთხოვნას და, შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს „რჩევითი ხასიათის მქონედ“ – მიუხედავად იმისა, რომ ბხსუ-ს განმარტებით „ძირითადი მოქმედება 1 ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის დროებით შეჩერებულია 2025 წლამდე“.
- ჯგუფი თვლის, რომ სტუდენტთა გაცვლის ერთი წყაროს შეჩერება არ ამართლებს სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის სხვა შესაძლებლობების არ გამოყენებას, თუმცა ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ დაფინანსების მდგომარეობა მართლაც რთულია.
- როგორც შეფასების ჯგუფმა, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ არსებული სიტუაცია, როგორც ეს აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და განხილულია ჩვენი ადგილზე ვიზიტის დროს და არა სამომავლო გეგმები. ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება და ჩვენ მოვუწოდებთ ბხსუ-ს გამოიყენოს იგი დამატებით მხარდამჭერ ბერკეტად პასუხისმგებელ მმართველ და დამფინანსებელ ორგანოებთან საჭირო მოლაპარაკებებზე.
- **სტანდარტი 4.3**
- ერთის მხრივ, აკადემიური კვლევისა და მხატვრული პრაქტიკის თანაბარი მნიშვნელობისა და მეორეს მხრივ, კომპეტენტური სწავლებისა და პედაგოგიური მოქმედების გათვალისწინებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ უკანასკნელ სფეროში პროფესიულ განვითარებას. როგორც ასევე აჩვენა ინტერვიუებმა, ამ დროისთვის არის ბევრი აქტივობა აკადემიურ კვლევასა და მხატვრულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა პედაგოგიურ და სწავლების მეთოდებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჩვენი რეკომენდაცია

არა მხოლოდ მართებულია, არამედ მნიშვნელოვანია ბხსუ-ს მოდის დიზაინის დეპარტამენტის შემდგომი პოზიტიური განვითარებისათვის.

- **სტანდარტი 4.4**
- ჩვენი თვალსაზრისით, ბხსუ-ს საერთო სტრატეგიული მიზნები არ მოიცავს სახელოსნოების განვითარებას საკმარისად კონკრეტული გზით. ვინაიდან საწარმოო ტექნოლოგიები მუდმივად მიიწევს წინ, რეკომენდებულია მკაფიო სტრატეგიის დანერგვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საგანმანათლებლო მიზნებსა და კვლევის ამბიციებთან მოდის დიზაინის სფეროში. ასეთ სტრატეგიას, როგორც საერთო სტრატეგიული მიზნების დამატებას, შეუძლია სარგებელი მოუტანოს ბხსუ-ს მხოლოდ მომავალი ბიუჯეტის კონტექსტში. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხი არ არის სტანდარტის საფუძველი, ჩვენ რეკომენდაცია რჩევით შევცვალეთ.
- **სტანდარტი 5.2**
- ეჭვი არ გვეპარება, რომ ხშირ შემთხვევაში, გარე შეფასების მექანიზმები ფუნქციონირებს ზუსტად ისე, როგორც საჭიროა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ანგარიშში მოყვანილი მაგალითი უნდა განიხილებოდეს, როგორც ნათელი მტკიცებულება იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ პროცესებს არ ეთმობა საკმარისი ყურადღება – სწორედ ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ბხსუ-ს უფრო ფართოდ განიხილოს გარე შეფასების შედეგები, რათა შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ინსტიტუციური შესწავლიდან.
- რაც შეეხება სწავლის შედეგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ მივაგენით გარკვეული შეუსაბამობას წერილობით დოკუმენტებსა და (დაკარგულ) ინფორმაციას შორის ზოგიერთი შესაბამისი საკითხის თაობაზე. ჩვენი კრიტიკა არ ეხება სწავლის შედეგების რუკებს, არამედ აღნიშნულ შეუსაბამობას.
- **სტანდარტი 5.3**
- აღნიშნული ოქმების შემოწმების შემდეგ ჩვენ მაინც ვერ მოვიძიეთ შესაბამისი მტკიცებულებები საერთაშორისო პროგრამების საკმარისი გამოკვლევის შესახებ. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ამგვარმა კვლევამ შეიძლება ძალიან დიდი სარგებელი მოუტანოს მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის შემდგომ განვითარებას და, შესაბამისად, მოუწოდებთ ბხსუ-ს, რომ არ მიიღოს ეს მოთხოვნა ძალიან უსიამოვნო ტვირთად, არამედ შესწავლის ჭეშმარიტ შესაძლებლობად.
- ჩვენ ვიზიარებთ არგუმენტს კოლეგიალურ დაკვირვებასთან დაკავშირებით და შედეგად ჩვენი რეკომენდაცია შევცვალეთ რჩევით. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ასეთი აქტივობა ძალიან შესაბამისობაში იქნებოდა ბხსუ-ს ხარისხის კულტურასთან.
-

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

BATU-მ მიიღო 9 რეკომენდაცია და 5 რჩევა ბოლო აკრედიტაციის დროს. რეკომენდაციების კუთხით:

- ხელოვნების ისტორია გაფართოვდა თანამედროვე ხელოვნებაზე ფოკუსირებით.

- რეკომენდაციის საფუძველზე შემოიღეს ბიზნეს სამართალი.

- დაემატა კომპიუტერული გრაფიკის კურსები.

- მიუხედავად იმისა, რომ უახლესი ტენდენციების გათვალისწინება განიხილება, როგორც ზოგადი რეკომენდაცია, პროგრამა მთლიანობაში ჯერ კიდევ დიდ ყურადღებას უთმობს ტრადიციულ მიდგომებს.

- მიუხედავად იმისა, რომ მოდის და ტექსტილის დიზაინში სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საფეხურსა და საგნობრივ მახასიათებლებს, მათ ჯერ კიდევ აკლიათ სპეციფიკა მოდასთან, როგორც დიზაინის სფეროს ძალიან სპეციფიკურ დარგთან მიმართებაში.

- სილაბუსები ძირითადად დამაჯერებლად და გასაგებად აღწერს კურსებს.

- ინტერნაციონალიზაცია, როგორც განვითარების მნიშვნელოვანი საკითხი, აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი თემა; დაწესებულებამ იცის, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებით სტუდენტების საერთაშორისო მობილობის კუთხით.

- სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი თეორიული ცოდნა კონკრეტულ პრაქტიკულ გარემოში.

რაც შეეხება რჩევებს, აშკარად ჩანს, რომ BATU ცდილობდა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ეს არასავალდებულო რჩევებიც. სიღრმისეული ანალიზის გარეშე, ბოლო აკრედიტაციის პროცესში წამოჭრილი საკითხების წარმატებით გადაჭრის მაგალითები იქნა ნაპოვნი, სადაც ყველაზე გამორჩეული მაგალითია ელექტრონული სტუდენტური პორტალი.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიზაინის განათლება დღეს მიზნად ისახავს ინოვაციური დიზაინერის ჩამოყალიბებას ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდგომების წახალისებით, რომელიც დაფუძნებულია საფუძვლიან თეორიულ ცოდნასა და კარგად დასაბუთებულ უახლეს ტექნოლოგიურ ცოდნასა და უნარებზე, რასაც დამატებით კიდევ ეხმარება სამეწარმეო აზროვნება და შესაბამისი კომპეტენციები, ამას ემატება გლობალურ დონეზე მსოფლიოში არსებული პრობლემების სათანადო გააზრება, კერძოდ კლიმატის კრიზისის, მიგრაციის, უთანასწორობისა და კონფლიქტების კუთხით.

შედეგად, დიზაინის საგანმანათლებლო სისტემის მთავარი ამოცანაა, წაახალისოს სტუდენტები, შეიძინონ ყველა საჭირო ცოდნა, უნარები და ეთიკური ცნობიერება, როგორც ჯანსაღი საფუძველი იმისათვის, რომ იფიქრონ და შექმნან ინდივიდუალური და ახალი მიდგომები მოდის დიზაინის პროფესიულ სფეროში.
ამ ამოცანის შესრულების ადეკვატური მეთოდებია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა ინდივიდუალური სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც მიმართულია დიზაინის საგანმანათლებლო და განმავითარებელი ფუნქციების ჩამოყალიბებაზე. აუცილებელია სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების გამოვლენა და აღიარება, რათა შეიქმნას პირობები ემოციური, სოციალური, ინტელექტუალური და სულიერი ზრდისთვის.

ამ მოთხოვნებთან კარგ შესაბამისობაში, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (BATU) არა მხოლოდ აყალიბებს წინასწარ განსაზღვრულ და განახლებულ პროგრამულ მიზნებს, რათა სტუდენტებს საშუალება მისცეს დაეუფლონ მოდის დიზაინის პროფესიის მოთხოვნებს, არამედ ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის შექმნას შესაძლებლობები, რათა დაამტკიცონ რომ არიან კომპეტენტური და კრეატიული პიროვნებები და, შესაბამისად, შეიტანონ ახალი და სათანადო წვლილი მოდის დიზაინის სფეროში. ეს სფერო აღქმულია როგორც არამხოლოდ ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებთან დაკავშირებული, არამედ

ზოგადად საზოგადოების ინტერესებთან დაკავშირებული სფერო. ადგილზე ვიზიტისას, სტუდენტებთან შეხვედრის დროს, დავადასტურეთ რომ ეს ზოგადი ამბიცია პრაქტიკაშიც ხორციელდება: სტუდენტები ღიად საუბრობდნენ, იყვნენ თავდაჯერებულები და შეეძლოთ საკუთარი აზრის კრიტიკულად და ლაკონურად ჩამოყალიბება. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამა მართლაც სცილდება ცოდნისა და უნარების უბრალო გადაცემას, ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ, სოციალურ და ეთიკურ განვითარებას.
„მოდის დიზაინის" საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია აკადემიურად სწორად და ასევე წარმოაჩენს ნათელ კავშირს უმაღლესი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ისინი ასევე აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება BATU-ს განვითარების სტრატეგიულ გეგმას და მისიას.

პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებს, კერძო და საჯარო სექტორის ინტერესებს, მოთხოვნებს რეგიონულ დონეზე და უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური სპეციალისტების, კერძოდ, უნარიანი მოდის დიზაინერების მომზადებას რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში.

მოდის დიზაინის პროგრამის მიზნების შემუშავებისას გათვალისწინებულია დამსაქმებლის რეკომენდაციები და შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამა პასუხობს პროფესიონალი, კომპეტენტური და ისეთი კადრების საჭიროებას, რომელთაც შეუძლიათ შექმნან იდეები და მათი განხორციელების გზები; პროგრამა კონკრეტულად ყურადღებას ამახვილებს სამკერვალო ტექნოლოგიებზე;

მიუხედავად პროგრამის მიზნების უდავო ხარისხისა, სწავლის შედეგებში და განსაკუთრებით კონკრეტულ კურსებში მათი განხორციელება, ყოველთვის არ შეესაბამება ამ ამბიციას. შესაბამისი საკითხები განიხილება შემდეგ ქვეთავში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის დიზაინი"
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთნ პროგრამის შესაბამისობა)
- დიზაინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები: https://www.eqe.ge/res/NewFolder%209/NewFolder/Subject%20Benchmark%20Statement%20of%20Higher%20Education%20Programme%20in%20Design%2C%20Industrial%20Design%2C%20Fashion%20Design%2C%20Textile%20Design.pdf
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დადებითი მხარე ისაა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერის მოთხოვნებს. სასწავლო მიმართულების შინაარსი კარგად არის განსაზღვრული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“, (0212 მოდა, ინტერიერი და სამრეწველო დიზაინი), და „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით.

გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები; სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების ბაზრის ზოგად მოთხოვნებს.

პროგრამა ასევე იძლევა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას განათლების შემდეგ საფეხურზე - თეორიული შესაძლებლობა, რომელიც პრაქტიკულად დაადასტურა ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა, რომელთაც გავესაუბრეთ, ვიზიტის დროს.

უარყოფით მხარეს რაც შეეხება, ჩვენ აღმოვაჩინეთ ორი შეზღუდვა:

- გასაკვირია, რომ „მოდის დიზაინის“ სწავლის შედეგები არ სცილდება კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - 0212 „მოდა, ინტერიერი და სამრეწველო დიზაინი“ ძალიან ზოგად დონეს, ისე რომ არც ერთხელ არ ახსენებს „მოდას“, როგორც სფეროს, რომელიც რელევანტური აქცენტია ამ სასწავლო პროგრამისთვის. შედეგად, სწავლის შედეგები არ მოიცავს შესაბამის სფეროსთან დაკავშირებულ რაიმე კონკრეტულ საკითხს, არც მოდის შექმნას, არც მოდის სფეროში ისტორიულ, თანამედროვე ან ბოლოდროინდელ მოვლენებს, არც კონკრეტულ ტექნოლოგიებს, არც ეროვნულ და საერთაშორისო მოდის ბიზნესს, არც კონკრეტულ სოციალურ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია მოდის წარმოების აუთსორსინგის გზებთან ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, არამდგრად მოხმარებას და ა.შ.
- პროგრამის მიზნებში ასახული კარგად დაბალანსებული მიდგომა ინდივიდუალურ შემოქმედებით პოტენციალს, ეკონომიკის მოთხოვნებსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას შორის არ აისახება სწავლის შედეგებში; პირიქით, ძირითადი ყურადღება

ეთმობა შრომის ბაზარსა და დასაქმებას, ყოვლისმომცველი პრობლემებისა და სოციალური საჭიროებების განხილვის გარეშე. ეს განსაკუთრებით ეხება ქვეთავებს „ცოდნა და გააზრება და „უნარები“. და მიუხედავად იმისა, რომ ქვეთავი „პასუხისმგებლობა და ავტონომია“ შეიცავს მითითებას „პროფესიულ ეთიკასა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე“, ცოდნის, გაგებისა და უნარების სათანადო საფუძვლის გარეშე, ეს განაცხადი მხოლოდ ბუნდოვანი რჩება.

ამ ორი შეზღუდვის შედეგად, სწავლის შედეგები სრულად არ ფუნქციონირებს, როგორც სასარგებლო სამუშაო ინსტრუმენტი პროგრამის განმახორციელებლებისა და პედაგოგებისთვის, რაც აშკარა გახდა ჩვენთან გასაუბრებისას, თუმცა BATU-მ ბევრი სამუშაო დაუთმო იმ რთული ცხრილის შემუშავებას, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგებს კურსებთან აკავშირებს.

შინაარსობრივი კუთხით, მოდის დიზაინის ბაკალავრის უტილიტარული ნაწილის გარდა, მეტი ყურადღება და დრო უნდა დაეთმოს დიზაინერების შემოქმედებითი კვლევისა და დიზაინის აზროვნების განვითარებას, რათა ხელი შეუწყოთ დიზაინის პროცესს კრეატიული, ექსპერიმენტული მიდგომებით.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა რომ გააზრებულია, ეს ეჭვგარეშეა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე რეაგირება ხდება სწავლის სამ სხვადასხვა შედეგში, ისინი მაინც, როგორც ჩანს, არის ერთგვარი დანამატი და არა მოქმედების სტრატეგიული საშუალება, რომელიც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს მაქსიმალური გავლენა მოახდინონ, საკუთარ შემოქმედებით მიღწევებზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- განაახლეთ სწავლის შედეგები ისე, რომ
    - კონკრეტულად პასუხობდეს „მოდის დიზაინს“ და პროგრამის თემის თანამედროვე კომპეტენციების მახასიათებლებს - არამხოლოდ რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, არამედ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენებსა და მოთხოვნებს.
    - წარმატებული ბალანსის იყოს დაცული ინდივიდუალურ პოტენციალს, ეკონომიკურ საჭიროებებსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას შორის, როგორც ეს განსაზღვრულია პროგრამის მიზნებში;
    - შემოქმედებითი და ექსპერიმენტული პროცესის დაუფლებაზე უფრო სრულყოფილად მოხდეს ფოკუსირება, რაც გადამწყვეტია საუკეთესო მოდის დიზაინისთვის;
    - მოხდეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ ცოდნისა და უნარების უფრო მჭიდრო დაკავშირება მოდის დიზაინის სპეციფიკურ

კომპეტენციებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულარულად ტარდება. თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სემესტრულად. სტატისტიკური მონაცემები რეგულარულად გროვდება და მუშავდება ანალიზის მიზნით. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება შეფასების წყაროებიდან მიღებული მონაცემების ანალიზს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი დეპარტამენტისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს. სასწავლო პროცესს მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი (სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი), ისე ირიბი (გამოკითხვები სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) შეფასების მეთოდები. „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება შემდეგნაირად:

„… თეორიული მიმართულება: საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების რაოდენობა (91-100 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10%-ს; დაბალი აკადემიური მოსწრების რაოდენობა (51-60 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (81-90 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25%-ს; საშუალო აკადემიური მოსწრების შედეგების რაოდენობა (71-80 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 30%-ს; საშუალო

აკადემიური მოსწრების შედეგების რაოდენობა (61-70 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25%-ს.

პრაქტიკული მიმართულება: საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების რაოდენობა (91-100 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 35%-ს; დაბალი აკადემიური მოსწრების შედეგების რაოდენობა (51-60 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 5%-ს; საშუალო აკადემიური მოსწრების შედეგების რაოდენობა (81-90 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 30%-ს; საშუალო აკადემიური მოსწრების შედეგების რაოდენობა (71-80 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 20%-ს; საშუალო აკადემიური მოსწრების შ ედეგების რაოდენობა (61-70 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%-ს...“

პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიხედვით და პროგრამის 1-ელი დანართის თანახმად, (ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ) დარღვეულია აღნიშნული პროცენტული მოთხოვნები. თუმცა, ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტების მოტივაცია, უნარები და ინტერესი პროგრამის მიმართ საშუალოზე ბევრად მაღალია, ამიტომ სტუდენტების შეფასების შედეგები გონივრულად აღემატება გაუსის ნორმალური განაწილების ჩარჩოს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ზემოაღნიშნული მეთოდების გარდა, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდს: რუკა განსაზღვრავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებს და ადგენს კონკრეტულ სამიზნე ნიშნულებს თითოეული სწავლის შედეგისთვის. იგი ასევე ადგენს მონაცემთა შეგროვების ვადებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას; შედეგების ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც განიხილება როგორც დეპარტამენტის, ასევე ფაკულტეტის დონეზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას, განვითარებას, ხელშეწყობას და მონიტორინგს, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

საერთაშორისო პერსპექტივის დასამატებლად, გირჩევთ გაითვალისწინოთ საერთაშორისო მოვლენები, როგორიცაა ELIA, CUMULUS ან EQ-Arts.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების რეგულაცია: http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი/ირიბი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად
- თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმები და მონიტორინგის ანგარიშები
- შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის მიერ;
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დამსაქმებლის, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- უნივერსიტეტის მუშაობის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ჩაატარეთ პროგრამული დისკუსიები, რომელსაც უძღვებიან ევროპული ქსელები და ასევე შეიტანეთ ისეთი შედეგები, როგორიცაა inter}arte პროექტის შედეგად მიღებული Tuning დოკუმენტი.
https://www.eq-arts.org/wp-content/uploads/2016/09/3_Tuning-Design.pdf

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეთოდოლოგიურად შემუშავდა BATU-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესზე დაყრდნობით, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების

პროცედურებს.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების განაწილების სისტემის (ECTS) შესაბამისად და ორიენტირებულია მოდის ბაკალავრის ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაზე, დიზაინერის პროფესიის ძირითად მოვალეობებზე დაყრდნობით.

პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან: 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდეგნილია პროგრამის კურიკულუმში. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 სასწავლო კვირას. ყოველი სემესტრის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო კვირა, ამას ემატება სასესიო პერიოდი (შუალედური და დასკვნითი გამოცდები). კურიკულუმის მიხედვით, თითო სემესტრში კრედიტების რაოდენობა შეადგენს 30-ს. სასწავლო გეგმაში კურსების განაწილება, თანმიმდევრობა და წინაპირობები შეესაბამება კურსის სილაბუსებში გაწერილი კრედიტების განაწილებას.

კრედიტების შესატყვისი საკონტაქტო საათები შესაბამისი კურსებისთვის სხვადასხვაგვარად არის მინიჭებული. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტებისთვის საკონტაქტო საათების მინიჭების ერთიანი პრინციპი გაამარტივებს პროგრამის ადმინისტრირებას, დაწესებულებამ სხვა მიდგომა აირჩია. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს კურსების სპეციფიკიდან და მიუხედავად იმისა, რომ საკონტაქტო საათების განსხვავებული რაოდენობა პროგრამის ადმინისტრირებას ნაკლებად მოქნილს ხდის, დაწესებულებამ, სტუდენტების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, გამოთქვა ამის სურვილი და აქვს კიდეც შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება სასწავლო პროცესის რაციონალურად წარმართვისთვის.

"მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია "კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" მოთხოვნების შესაბამისად და შეესატყვისება „დიზაინის, ინდუსტრიული დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის დიაპაზონი და შინაარსი სათანადოდ შეესაბამება საქართველოს საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის დონეს (დონე 6) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები ორგანიზებულია სამ ეტაპად და ვითარდება მარტივიდან რთულამდე. პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა მიზანშეწონილი ჩანს, თუმცა ამ კუთხით ზუსტი შეფასების გაკეთება რთულია იმ თვალსაზრისით, რომ კონკრეტულად მოდის დარგზე მითითების ნაკლებობა შეინიშნება.

მოდის დიზაინის პროგრამას აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, თუ როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის კომპონენტების მეშვეობით. გარდა ამისა, სწავლის შედეგების რუკა აღწერს სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობას, ასევე შეფასების ფორმას (პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი/ირიბი შეფასება).

- პროგრამა დაყოფილია 180 სავალდებულო და 60 არჩევით კრედიტად. დამატებითი (მაინორ) პროგრამის ან არჩევითი ბლოკების/ კურსებისთვის გათვალისწინებულია 60 კრედიტი. მიუხედავად ამისა, არ არსებობს პროგრამაზე თანდართული დამატებითი

(მაინორ) პროგრამის ცალკე არსებული სასწავლო გეგმა , რომელსაც აღნიშნული პროგრამა შესთავაზებდა სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, არც რაიმე წერილობითი მითითება მოდის დიზაინის სტუდენტებისთვის შესაძლო დამატებითი სპეციალობის შესახებ. ბხსუ–მ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით თავის არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ არსებობს რამდენიმე საინტერესო მაინორ პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციის გზით. ინდივიდუალური კონსულტაციის ხარისხი უდავოდ ღირებულია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, სულ მცირე, მიახლოებით მაინც იქნას აღწერილი ძირითადი/მაინორ სისტემის ფუნქციონირება პროგრამის კურიკულუმში თავისი მახასითებლებით, როგორც არსებული სამი ვარიანტიდან ერთ–ერთი, რომლის მიხედვითაც შესაძლებლია ინდივიდუალური 60 კრედიტის ათვისება. ეს ასევე სასარგებლო იქნება პოტენციური აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროების შემდგომი გამდიდრებისთვის.

–

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა, ფორმალური თვალსაზრისით, კარგად არის ორგანიზებული და აღწერილი, სტუდენტების, როგორც შემოქმედებითი და მხატვრული პიროვნებების ინდივიდუალური განვითარება არც თუ ისე კარგადაა ასახული – სწავლის შედეგების ბადე, რომელიც ნათლად არის მინიჭებული შესაბამის კურსებზე, ქმნის მკაცრად წრფივი სასწავლო პროცესის ილუზიას, რომელიც როგორც წესი რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, განსაკუთრებით ხელოვნებისა და დიზაინის სფეროში. აშკარაა, რომ აქ არის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გავლენა, მაგრამ მაინც ვურჩევდით BATU-ს, რომ არა მხოლოდ სტანდარტებთან შესაბამისობაზე იფიქროს, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაითვალისწინოს თავისი პრაქტიკული გამოცდილება და წარმატებული სასწავლო პროცესები და როგორ შეიძლება იყოს აღიარებული სტუდენტის სწავლა, რომელიც არ შემოიფარგლება ცალკეული კურსით. სირთულეების მიუხედავად, ისეთი აქტივობა, რომელიც უფრო მეტად უკავშირდება რეალური ცხოვრების პრაქტიკას, შესაძლოა, საბოლოოდ უფრო აქტუალური და მომგებიანი აღმოჩნდეს პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გარდა ინდივიდუალური კონსულტაციისა, მეტი წერილობითი ინფორმაცია მიაწოდეთ საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში თავისუფალი არჩევითი კურსებისთვის გამოყოფილი 60 ECTS კრედიტის ინდივიდუალურად ფორმირების სხვადასხვა გზების, კონკრეტულად, შესაძლო მაინორ პროგრამების რეგულაციებისა და შინაარის შესახებ.

- სასურველია დიზაინის სფეროში სასწავლო პროცესის სპეციფიკის ასახვა და უფრო

მცირე მოცულობის კურსების რაოდენობის შემცირება, რომლებიც, პირველ რიგში, ორიენტირებულია უტილიტარული უნარების განვითარებაზე;

- სტუდენტის ინდივიდუალური სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაძლიერება (კრიტიკული/კრეატიული აზროვნება და ინდივიდუალური პრაქტიკა);
- გააგრძელეთ ბიზნეს სექტორისა და კრეატიული ლიდერების აქტიური ჩართვა, როგორც ინდივიდუალური პროექტების დაშვების ერთ-ერთი გზა, რაც გააერთიანებს თეორიულ, პრაქტიკულ და შემოქმედებით ასპექტებს.
- საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ინდუსტრიულ ორგანიზაციებთან;
- უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდებზე ექსტრაკურიკულუმის აქტივობების (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო) გამჭვირვალედ წარდგენა, როგორც ესენი ასახულია პროგრამის თვითშეფასებაში.
- სტუდენტებს შესთავაზეთ სპეციფიური ინტერდისციპლინური არჩევითი საგნები, კონსტრუირების კომპლექსურ და კრეატიულ მეთოდებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურებს. თითოეული პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილია და შეესაბამება შინაარსს. პროგრამისთვის შედგენილია სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც ადასტურებს კურსებსა და საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს შორის კავშირს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ასახულია ხელოვნებისა და დიზაინის დარგის ინდივიდუალური სწავლის პროცესის რეალობასთან შედარებით ცოტა ვიწრო ფორმით.

კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს, კრედიტების ოდენობას და შესაბამისი საათების რაოდენობას. სილაბუსებში მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, რომელთა თანაფარდობაც ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტები ნაწილდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით: თეორიულ კურსებში ერთი კრედიტიდან (25 საათი) 10 საათი ძირითადად საკონტაქტო საათებად განისაზღვრება, ხოლო საშემსრულებლო/კრეატიულ კურსებში - 15 საათი, რაც ხელს უწყობს დარგის, სპეციალობის პროფესიული უნარების განვითარებას.

პროგრამის თითოეული კურსი სწორად არის აღწერილი სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შესაბამისი კრედიტების რაოდენობა, კურსის განმახორციელებლები, კურსის მიზანი, კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლების/სწავლის მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და ა.შ. სტუდენტების შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის მოცემული კურსის სილაბუსში.

უმაღლესი განათლების მე-6 დონის აღმწერი მოითხოვს „ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გაგებას და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს“. ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან ცოტა თეორიული მასალაა მოწოდებული დარგის საკვანძო საკითხებზე, განსაკუთრებით მომხმარებელთა პარამეტრებთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით ეხება „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“-ს.

აღნიშნული კურსების აქცენტი განსაზღვრულია კონკრეტული გენდერულ-ასაკოვრივი ჯგუფებისთვის სამოსის კონსტრუირებისა და კომპოზიციის ტექნოლოგიური განხორციელების რეალიზებაზე. შესაბამისად, კურსი კონკრეტული ჯგუფისთვის აღწერს სხეულის ზომების აღების, ძირითადი სტრუქტურის აგების, მასალების შერჩევის, თარგის აღებისა და ტექნოლოგიური დამუშავების პროცესებს. კურსის მიერ შესასწავლი საკითხების სრული დიაპაზონის სისტემატიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, ერთი მხრივ სასურველი იქნებოდა ჯგუფების გამოყოფა შინაარსობრივი საკითხების მიხედვით, რომ ყველა მახასიათებელი სრულყოფილად განხილულიყო, იმ თავისებურებებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც პრაქტიკაში გვხვდება. მაგალითად, გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების სხეულის სტრუქტურების თავისებურებები, მათი ანთროპომეტრია და ტანსაცმლის მოხერხებულობის პრობლემები; ტანსაცმლის წარმოებისთვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალების კლასიფიკაცია, სტანდარტიზაცია და მათი შერჩევა- დასაბუთება სამომხმარებლო პარამეტრების მიხედვით; ზოგადი კონსტრუირებისა და კონსტრუირების კერძო შემთხვევების განხილვა; სამკერვალო ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები, მოწყობილობები, ტექნოლოგიური პრობლემები და მათი თავიდან აცილების ან აღმოფხვრის გზები. მეორეს მხრივ, საჭირო იქნება უფრო ღია სფეროები ინდივიდუალური განვითარებისთვის, რათა სტუდენტებს შეეძლოთ მიჰყვნენ საკუთარ შთაგონებას, ვიდრე მხოლოდ მოცემულ ჩარჩოებში იმუშაონ. ეს ასევე შეიძლება შეიცავდეს

- - მუშაობას არატრადიციულ შაბლონებთან, მათ შორის სივრცულ და მოცულობით ფორმებზე

მუშაობას

- ექსპერიმენტული მიდგომები შაბლონებში, ტექსტურებში, დიზაინებში
- ტრადიციულ პრაქტიკებზე კრიტიკულ კომენტირებას
- მდგრადობის საკითხების მოკვლევას
- დიზაინს მომხმარებლის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე პირდაპირი მითითების გარეშე

ამ ტიპის ავტონომიური სტუდენტური მუშაობის წახალისება ასევე დაეხმარება სტუდენტებს აირჩიონ კვლევის კონკრეტული მიმართულება იმ შემთხვევაში, თუ მათ სურთ სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაზე, იქნება ეს ორიენტირებული კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა ანთროპომეტრია, მასალის შესწავლა და მასალების რაციონალური გამოყენება, გაუმჯობესება, პარამეტრების დაპროექტება, ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია და ა.შ., თუ იქნება ეს ინტერდისციპლინური მიდგომებით საკუთარი დიზაინის პრაქტიკის შემდგომი გაფართოების კუთხით.

პროგრამა „მოდის დიზაინი“ ძირითადად ორიენტირებულია ტანსაცმლის ძირითადი კომპონენტის - ტანსაცმლის შესწავლაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პროგრამაზე არ ისწავლება ფეხსაცმლის მოდასთან (როგორც ტანსაცმლის ძირითად ნაწილს) და სხვა ტყავის ნაწარმის მოდასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა ერთი კურსისა - ქსოვილის კომპოზიცია 5). მიუხედავად იმისა, რომ ფეხსაცმელი სტრუქტურულად და ტექნოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე რთული და უაღრესად ზუსტი პროდუქტია სამომხმარებლო პარამეტრების მიხედვით და მოითხოვს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებს, ფეხსაცმლისა და ტყავის წარმოება ბათუმისთვის მრავალი წელია ტრადიციული სფეროა. ადგილობრივი და რეგიონალური პროფესიონალები აღჭურვილნი არიან როგორც პრაქტიკული უნარებით, ასევე უმაღლესი ტექნოლოგიური განათლებით, მაგრამ განიცდიან დეკვალიფიკაციას დროთა განმავლობაში სწრაფად ცვალებადი სფეროს, მდგრადი განვითარების აუცილებლობის ან ახალი წარმოების ტექნოლოგიების პოტენციალის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით პროგრამის ფოკუსის გაფართოება ასევე შესაბამისი იქნება იმ სიტუაციასთან, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ხშირად არიან დასაქმებულნი აქსესუარების სფეროში.

კურსების შინაარსში გვხვდება ზოგიერთი არააკადემიური ტერმინი, როგორიცაა: „მჭიდროდ მორგება“, „მოსინჯვა“ ("fitting snugly", "trying on“) და სხვა. სასურველია აღნიშნული ტერმინების შესაბამისად შეცვლა: „მჭიდროდ მორგება“ ("tight-fitting"), "გაზომვა" ("measurement“) და სხვა.

სასწავლო მასალებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით: კურსის სილაბუსებში მითითებულია კურსის შესასწავლად საჭირო ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. მისი უმეტესი ნაწილი შესაბამისია კურსის შინაარსთან, ნაწილი შედგენილია კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და მოთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნების ფონდში ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით. ეს ფონდი მნიშვნელოვანწილად შეიცავს დამატებით ლიტერატურას და როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რეგულარულად განახლებადია. კურსების შინაარსის შესაბამისია აგრეთვე კურსების დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული ლიტერატურა.

ზოგიერთი კურსი შეიცავს სახელმძღვანელოს: „სამოსის მხატვრული კონსტრუირება“ (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2015 წ.) ძირითადი ლიტერატურის ნუსხაში, რომელიც განათლების სამინისტროს ეგიდით შემუშავდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საკითხი განიხილება მაღალ დონეზე, ეს თეორიული მასალა სრულ შესაბამისობაში არ არის უმაღლესი განათლების მე-6 საფეხურთან. შესაბამისი კურსებია: „სამოსის კომპოზიცია 1, 2, 3, 4, 5, 6“, „მოდის ტენდენციები“. აღნიშნული კურსებისთვის მითითებული სახელმძღვანელო არარელევანტურია და უნდა შეიცვალოს, ხოლო რაც შეეხება კურსებს: „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“, - სახელმძღვანელო უნდა შეიცვალოს პროგრამული დონის შესაბამისი სხვა სახელმძღვანელოთი, რომელიც ფართოდ არის გამოცემული მითითებული სახელმძღვანელოს ავტორების მიერ; იგი სრულად ავითარებს ბაკალავრის საფეხურის შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს და გვხვდება საქართველოს იმ სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში, რომლებიც ახორციელებენ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებს, და რომლებთანაც დაწესებულებას აქვს გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის დიზაინი"
- დანართი 5 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

რეკომენდაციები:

- იპოვნეთ ბალანსი კონკრეტულ თემებზე ორიენტირებულ კურსებსა და იმ კურსებს შორის, რომლებიც საშუალებას აძლევენ სტუდენტებს ჩამოაყალიბონ ავტონომიური ინდივიდუალური პრაქტიკა, რომელიც სცილდება წინასწარ განსაზღვრულ თემებს და რომელიც ასევე სტუდენტების მიერ სხვა კურსებზე შეძენილი თეორიული და ტექნოლოგიური ელემენტების შემოქმედებითად გამოყენებას;

- თემების შინაარსის კონცენტრირება კურსებში „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“, ანთროპომეტრიული, დიზაინის, მასალის შესწავლისა და ტექნოლოგიური საკითხების თანმიმდევრობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააფართოვეთ ყურადღება ცალკეულ თემებზე და საკითხებზე - ასევე თეორიულ დარგში - ინტერდისციპლინური მიდგომებით;
- პროგრამაში ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის მოდის, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიების თემების ეტაპობრივი დანერგვა;
- გაამდიდრეთ კურსების „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 და 6“-ის ძირითადი ლიტერატურა, პროგრამის დონის შესაბამისი სხვა სახელმძღვანელოებით.
- ძირითადი კურსების შინაარსში გაზარდეთ სამომხმარებლო პარამეტრების შესახებ თეორიული მასალა.
- კურსებში: "სამოსის კომპოზიცია 1, 2, 3, 4, 5, 6" და ასევე "მოდის ტენდენციები", სახელმძღვანელო „სამოსის მხატვრული კონსტრუქცია“ გადაიტანეთ

ძირითადი ლიტერატურის ნუსხიდან დამატებით ლიტერატურაში და სანაცვლოდ გაამდიდრეთ ძირითადი ლიტერატურა კურსებისთვის შესაბამისი სახელმძღვანელოებით;

- შეცვალეთ კურსების შინაარსში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინოლოგია, როგორიცაა: „მჭიდროდ მორგება“("fitting snugly“), „მოსინჯვა“ ("trying on“) და ჩაანაცვლეთ სხვა უფრო ზუსტი აკადემიური ტერმინოლოგიით: „მჭიდროდ მორგება“ ("tight-fitting"), "გაზომვა" ("measurement“) და სხვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე მიღება რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის დებულებით, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის წესით და პროგრამის მიერ განსაზღვრული წესებით. მისაღები სტუდენტთა კვოტა განისაზღვრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოების მიერ.

აპლიკანტები, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს (ან აქვთ უფლება, რომ ჩაირიცხონ უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებაში), საჭიროა ჩააბარონ შემოქმედებითი ტური, დამატებით. აპლიკანტები სხედან 5 საათის განმავლობაში და ევალებათ დახატონ ნატურმორტი დრაპირებით. მათ მიერ შესრულებული სამუშაო ფასდება 10 კრიტერიუმით, აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ მაქსიმუმ 10 ქულა თითოეული კრიტერიუმისთვის და შესაბამისად, ჯამში მაქსიმუმ 100 ქულა.

აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი ტურის მთავარი მიზანია შეაფასოს აპლიკანტის წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარები. პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, უდავოდ მნიშვნელოვანია ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი სივრცის დაუფლებისა და შესაბამისად კომპოზიციების დახატვის უნარი; თუმცა ღირებული იქნებოდა სხვა კრიტერიუმების გათვალისწინება, რომლებიც ნაკლებად დაკავშირებულია ტექნიკურ შესაძლებლობებთან, მაგრამ უფრო მეტად ასოცირდება იდეების შექმნის, ინდივიდუალური აზრების გამოხატვის უნართან და ამით წარმოჩენილი ინდივიდუალური მხატვრული მიმართულების ჩვენებასთან.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ BATU ფარავს დასავლეთ საქართველოს, ავრცელებს საჭირო ინფორმაციას აპლიკანტებს შორის ფლაიერების საშუალებით, სადაც მითითებულია მნიშვნელოვანი თარიღები და დავალებები შემოქმედებითი ტურისთვის. BATU-ს ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაცია მითითებული არ არის, რაც მნიშვნელოვანია რომ მითითებული იყოს არამხოლოდ გამოცდამდე, არამედ მთელი წლის განმავლობაში, რომ დაინტერესებულმა აპლიკანტებმა დიდი ხნით ადრე დაგეგმონ პროცესი.

მიუხედავად ამისა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპრობები არ არის საკმარისად გამჭვირვალე, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც.

პროგრამის კურიკულუმში არსებობს მცირე ტექნიკური ხარვეზი, შემოქმედებითი ტურის ნაწილში მითითებულია: „ხატვა - **2/3 ობიექტიანი** ნატურმორტი დრაპირებით - ფანქარში“; აღნიშნულის ნაცვლად, უმჯობესია იყოს: ხატვა - **2-3 ობიექტიანი** ნატურმორტი დრაპირებით - ფანქარში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- BATU-ს თვითშფასების ანგარიში
- NAEC-ის დოკუმენტი მიღების შესახებ
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის დიზაინი"
- უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირების წესი https://naec.ge/#/ge/post/236
- BATU-ს ვებ გვერდი www.batu.edu.ge

რეკომენდაციები:

- BATU -ს ვებგვერდის საშუალებით აპლიკანტებისთვის ინფორმაციის მუდმივი მიწოდება, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი ტურის თარიღებს, მოთხოვნებს, კრიტერიუმებს და საკონტაქტო ინფორმაციას ინდივიდუალური შეკითხვებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- განიხილეთ კრიტერიუმების კორექტირება და, საბოლოოდ, შემოქმედებითი ტურის დავალებების გაფართოება, რათა უკეთ შეფასდეს პროგრამის ყველა სწავლის შედეგით მოცემული მიმართულებით წარმატებით მუშაობის შესაძლებლობა.
- შეასწორეთ სასწავლო გეგმაში არსებული მცირე ტექნიკური ხარვეზი, სადაც შემოქმედებით ტურში აბიტურიენტისთვის მიცემული დავალების ნაწილში: ნაცვლად „ხატვა - ნატურმორტი, რომელიც შედგება 2/3 ელემენტით და დრაპირებით - ფანქარში“, უნდა იყოს: „ხატვა - ნატურმორტი, რომელიც შედგება 2-3 ელემენტით და დრაპირებით - ფანქარში“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, რაც ასევე აშკარად ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში. საგნობრივი მახასიათებლით, მოდის დიზაინის პროგრამები მოიცავს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას - პირადი, სუბიექტური გამოცდილება და შემოქმედებითი ინტუიცია, კვლევა, მიზნობრივი, ტექნიკური და მხატვრული ილუსტრაცია, მასალის შერჩევა/დამუშავება, კონსტრუქცია/მოდელირება, ტექნოლოგია, ნიმუში/მოდელირება, ტექნიკური დოკუმენტაცია, მზა პროდუქტი პროექტის აქტივობის გათვალისწინებით.

ბევრი კლასგარეშე აქტივობა მიზნად ისახავს სტუდენტების შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია კამპუსში ცხოვრების აქტივობებთან და შეძენილი კომპეტენციების გამოყენების სხვა შესაძლებლობებთან. ჩვენ მივიჩნევთ ამ შესაძლებლობებს, როგორც სტუდენტებისთვის უაღრესად ღირებულს და ECTS სისტემის მხრივ არამარტო გამართლებული, არამედ აუცილებელიც იქნებოდა ამ ტიპის აქტივობებისთვის გარკვეული კრედიტების მინიჭება, სტუდენტების შესაბამისი დატვირთვის გაცნობიერებით. ამ მიზნის მიღწევის სხვადასხვა გზა არსებობს, იქნება ეს არჩევითი კურსის სახით, რომელიც მოიცავს ამ აქტივობებს, ან იქნება ეს სტუდენტების ამ არაფორმალური აქტივობების აღიარებით, თუ იქნება ეს არჩევითი კურსების შემცირებით

ექსტრაკურიკულუმის აქტივობებში ჩართვის შედეგად და ა.შ.

პროგრამა ასევე მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი), რომელიც არის კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების რეალიზების საშუალება და მოიცავს აქტივობებს ესკიზის შედგენიდან საბოლოო პროდუქტამდე ტანსაცმლის კომპოზიციის მისაღებად. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა წარმოუდგინონ თავიანთი მიგნებები, არგუმენტები, კვლევის შედეგები აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, აკადემიური ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით.

ტრენინგი და სამრეწველო პრაქტიკა შესაძლებლობებს მისცემს სტუდენტებს განივითარონ პრაქტიკული უნარები, რაც მათი პროფესიული აქტივობების საწინდარია. პრაქტიკული კურსები გულისხმობს დამოუკიდებელ ტრენინგს, ძირითადად ტარდება პროფესიულ დაწესებულებებში.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად, გამოვლინდა, რომ პრაქტიკა დაგეგმილია და მუდმივად ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის სილაბუსები მოიცავს გეგმას, აქტივობებს და დეტალურ შეფასების სისტემას. პრაქტიკა ძირითადად ხორციელდება დამსაქმებელი კომპანიების მიერ, რომელთანაც უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. სტუდენტებს ენიშნებათ ხელმძღვანელები უნივერსიტეტიდან და მასპინძელი ორგანიზაციიდან. ორივე მხარე მონაწილეობს სტუდენტის შეფასებაში. სასურველია პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის მემორანდუმები მოიცავდეს ინფორმაციას რა რაოდენობის სტუდენტის მიღება შეუძლია, სამუშაო სივრცისა და შესასრულებელი დავალების გათვალისწინებით. მეტად სასურველია პრაქტიკის სილაბუსები აღწერდეს, თუ რა ტიპის პრაქტიკულ სამუშაოს შესრლება ევალება სტუდენტს პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი შეფასების კონკრეტული წილი სასურველია იყოს უფრო მეტი, ვიდრე დანარჩენი აქტივობები, რომლებსაც სტუდენტი ასრულებს პრაქტიკის პერიოდში.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ სპეციალისტები ეხმარებიან სტუდენტებს გარკვეული პროფესიული საკითხების გარკვევაში, პრაქტიკულ-კრეატიული პროექტების მომზადებაში (გამოფენა) ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე პრეზენტაციის წარდგენაში. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტში, აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები გამოფენებზე, სტუდენტთა კონფერენციებსა და BATU ის მეირ ორგანიზებულ შეხვედრებზე. სტუდენტთა სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების წახალისების მიზნით, წლიურად იმართება საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციები, სადაც დიზაინის სტუდენტები არიან ჩართულნი.

სტუდენტთა თვითმმართველობა აორგანიზებს შეხვედრებს, დისკუსიებს, სპორტულ, კულტრულ და გასართობ და ა.შ. ღონისძიებებს, BATU-ს ბიუჯეტიდან დაფინანსებით. ზემოხსენებული უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას შემოქმედებით და შემეცნებით აქტივობებში, პრაქტიკული და სამეცნიერო ნაშრომების/პროექტების მომზადების ფასილიტაციას, კურიკულუმისგან დამოუკიდებლად ინიციატივების განხორციელებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. დამატებით, სასურველია, ეს ღონისძიებები გახდეს

უფრო მაშსტაბური, და პერიოდულად, ჩატარდეს ერთობლივი ღონისძიებები, შეჯიბრებები, გამოფენები, სხვა უნივერსიტეტების მსგავსი დარგის პროგრამების სტუდენტების მონაწილეობით, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი აქტივობების გაფართოების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის დიზაინი"
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- დანართები. "შემოქმედებითი აქტივობები"
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

ECTS-ის დატვირთვის მინიჭება იმ აქტივობებზე, რომლებიც სასარგებლოა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და რომლებიც ამჟამად განიხილება, როგორც მხოლოდ დამატებითი აქტივობები და მოთხოვნები (მაგ. ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობა, კამპუსის ღონისძიებებში წვლილის შეტანა, კონფერენციებზე დასწრება და ა.შ) თავისუფალ არჩევით საგნების ნაწილად აღიარება მაინც.

-
- დამსაქმებლებთან ან დარგობრივ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიუთითეთ სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რაც შეეხება პროფესიულ სფეროში პრაქტიკას, სილაბუსებში უფრო კონკრეტულად აღწერეთ, რა სახის პრაქტიკული სამუშაოს შესრულება მოეთხოვება სტუდენტს;
- პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში სხვა აქტივობებთან შედარებით პრაქტიკული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული შეფასების კონკრეტული წილის გაზრდა;
- გააფართოვეთ თანამშრომლოვითი აქტივობები ერთობლივი ღონისძიებების, გამოფენებისა და კონკურსების ორგანიზებით, ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების მონაწილეობით, რომ გაიზარდოს თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი	☐	☒	☐	☐

/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის" სტრუქტურა არსებითად უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობას და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც მიიღწევა აქტიური სასწავლო პროცესის შეთავაზებით. კერძოდ, კურსები მოიცავს აქტიურ სასწავლო მეთოდებს როგორებიცაა საშინაო დავალება, ინდივიდუალური სამუშაო და პორტფოლიო, ნამუშევრების მომზადება პრეზენტაციებისთვის და კონფერენციებისთვის. სწავლის ძირითადი სფეროს კურსები ასევე მოიცავს სახელოსნო და პრაქტიკულ მუშაობას, შემოქმედებით მუშაობას საუნივერსიტეტო სივრცეში დაინტერესებული სტუდენტებისთვის. დამატებით, პროგრამის ნაწილია ტრენინგი და საწარმოო პრაქტიკა სხვადასხვა საწარმოში.

პროგრამა ყურადღებას აქცევს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზს, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ლექცია, ვორქშოფები და პრაქტიკული სამუშაო. შესაბამისად, პროგრამების ფარგლებში გამოიყენება შემდეგი სწავლების მეთოდები: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, საჩვენებელი მეთოდი, სემინარის მეთოდი, თანამედროვე ევრისტიკული მეთოდები. ჯგუფური მუშაობისას გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია, კითხვა-პასუხი, კვლევითი ჯგუფი, დებატები, ჯგუფური დისკუსია და პრაქტიკული სიტუაციების ანალიზი, თანამედროვე ევრისტიკული მეთოდები - დეკონსტრუქცია და კომბინატორიკა. ჯგუფური სამუშაო ეხმარება სტუდენტებს დამოუკიდებელი აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაში.

წარმოდგენილი პროგრამა სრულად მოიცავს სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენების რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში „დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი, ტექსტილის დიზაინი". პროგრამის სილაბუსები ადასტურებენ, რომ კურსების განხორციელებაში ჩართული პერსონალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ევრისტიკული დიზაინის მეთოდების გამოყენებას.

კურსების გავლის პროცესში, კურსის შედეგის მიღწევის მიზნით, სტუდენტებს უწევთ ისეთი აქტივობების შესრულება, როგორებიცაა სალექციო მასალისა და საშინაო დავალების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, გამოცდის ჩასაწერად მომზადება, მოხსენების მომზადება, პორტფოლიოს შევსება, რეფერატის, ნაშრომის, პროექტის ან მოხსენების დამოუკიდებლად წარდგენა, ასევე მომზადება კონფერენციებში მონაწილეობისთვის. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სპეციფიკური სწავლების მეთოდები, რომლებიც

შესაბამისობაში სწავლის შედეგების მიღწევის მიზანთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლების და სწავლის მეთოდები);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გავითვალისწინოთ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალურ პრაქტიკასთან და ავტონომიურ სწავლასთან დაკავშირებით, ასევე სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისად დანერგვის თვალსაზრისით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება შიდა რეგულაციების შესაბამისად. სასწავლო კოპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას 60 ქულას და დარჩენილ 40 ქულას საბოლოო შეფასებისთვის. სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 21 ქულა შუალედურ შეფასებებში, რომ ჰქონდეს უფლება მიიღოს მონაწილეობა საბოლოო გამოცდაში. საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;

- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.
- (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;
- (F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები ქულა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

კურსის შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდება სილაბუსებით, რომლებიც აიტვირთება სწავლის მართვის ელექტრონულ სისტემაში („Ini.ge ჯგუფთან“ხელშეკრულების ფარგლებში, ელექტრონული სწავლების მართვის სისტემა batus1.ini.ge შეიქმნა დაწესებულებაში. სტუდენტები დამატებით განმარტებებს სულაბუსთან და შეფასების სისტემასთან დაკავშირებით თითოეული კურსის პირველ ლექციაზე იღებენ.

თითოეული კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან და სწავლის შედეგებთან. შეფასების ქულები და კრიტერიუმები, თეორული და პრაქტიკული კომპონენტების შემთხვევვაში არის ინდივიდუალური და მოცემულია სილაბუსებში. თითოეული კურსისთვის შუალედური შეფასებების რაოდენობა არის ასევე ინდივიდუალური. პანელმა აღმოაჩინა, რომ შუალედური შეფასება კურსებისთვის "შესავალი შემოქმედების ფსიქოლოგიაში" და "მეწარმეობის საფუძვლები" არის მე-14 კვირაში, საბოლოო გამოცდის ახლო პერიოდში. ამიტომ სასურველია შუალედური გამოცდის თარიღის შეცვლა საბოლოო შეფასებამდე გონივრულ დროით.

კურსების ფარგლებში, პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროქტების შეფასება ხდება კომისიური წესით. ყველა შესაბამისი დოკუმენტი (თვითშეფასება, კურსის სილაბუსი და ა.შ,) აღნიშნავს, რომ: "დეპარტამენტის ყველა პროფესორი და მასწავლებელი აკვირდება შეფასებას". შესაბამისად, თუ ყველა პროფესორი/მასწავლებელი არ ესწრება, შეფასება ვერ კეთდება, რაც აზიანებს სტუდენტის ინტერესებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია პრაქტიკულ-კრეატიული პროექტის შეფასების რეგულაციის მოდიფიცირება და განსაზღვრა, რომ შეფასების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს დეპარტამენტის პროფესორების და მასწავლებლების უმრავლესობის მიერ.

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო დისერტაციის დაცვის წესებში შედის მხოლოდ ერთი შეფასება, საბოლოო შეფასება (100 ქულა), რომელიც არ შეესაბამება არსებულ დებულებებს (საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება #3/ნ): საბაკალავრო დისერტაციის სილაბუსი უნდა მოიცავდეს სტუდენტების ნამუშევრების შუალედურ და საბოლოო შეფასებებს).

სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების მიხედვით, ყოველი შეფასების შემდეგ, ლექციებზე სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგების მიღწევებზე და მათ ძლიერ მხარეებზე/გაუმჯობესების მხარეებზე.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა „BATU-ში პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების პროცედურა“ (დამტკიცებულია BATU-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 15 მაისის

No05-01/05 გადაწყვეტილებით). ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, დარღვევები იყოფა სამ ეტაპად: უმნიშვნელო დარღვევები, საშუალო სიმძიმის დარღვევები და მძიმე დარღვევები. თუმცა, არ არის განსაზღვრული ტექსტის მსგავსების მისაღები პროცენტული ლიმიტი (მაგალითად, ციტირებული ტექსტი, ტერმინები და ა.შ. ციტირებული სათანადო წესით). დაწესებულებამ უნდა გახადოს უფრო გამჭვირვალე, თუ როგორ განსაზღვროს პასუხისმგებელმა მასწავლებლებმა დარღვევის დონე.

დაწესებულება იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას - URKUND. ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო თეზისები მოწმდება აღნიშნული პროგრამით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კურსების უმეტესობა არის პრაქტიკული, და არსებული ანტიპლაგიატის პროგრამა შეუძლებელია იქნას გამოყენებული სტუდენტთა შეფასების პროცესში, კურსების ფარგლებში. თუმცა, ზოგიერთი კურსი მოიცავს წერით დავალებებს, სადაც პლაგიატის მექანიზმების გამოყენება რელევანტურია. შესაბამისად, სასურველია ანტიპლაგიატის მექანიზმის დანერგვა შესაბამის კურსებში (სადაც სპეციფიკა საშუალებას იძლევა), საბოლოოო ნაშრომამდე ამ ინსტრუმენტის სწავლებასთან მიმართებით გამოყენებით.

უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, დადასტურდა, ორმ ისინი ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, თუმცა არ იცნობდნენ ზუსტ პროცედურას, რადგან არცერთს არ გამოუყენებია. შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი განისაზღვრება სასწავლო პროცესების დებულებით, სადაც ნათქვამია, რომ „ფაკულტეტის დეკანი, კურსის ლექტორი, რომლის შეფასებაც გაასაჩივრეს, და შესაბამისი დარგის სპეციალისტი ფაკულტეტიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა შევიდეს შეფასების განმხილველ კომისიაში. საჩივრის ავტორი, სტუდენტი, ასევე მოწვეულია შეხვედრაზე, სადაც კომისია განიხილავს საჩივარს. აღნიშნული დებულების ფორმულირებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ სააპელაციო კომისიის ერთ-ერთი წევრია ის ლექტორი, რომლის შეფასებაც გასაჩივრდა და აღნიშნული ლექტორი, როგორც კომისიის წევრი, მონაწილეობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. ეს არის ინტერესთა კონფლიქტი. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, გამოვლინდა, რომ ლექტორები ჩართულნი არიან პროცესში მხოლოდ მათი პოზიციისა და არგუმენტების წარმოსადგენად. ისინი არ მონაწილეობენ კომისიის მიერ საბოლოო გადაწვეტილების მიღების პროცესში. გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით დებულების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ლექტორის (რომლის შეფასებაც გასაჩივრდა) სააპელაციო კომისიაში მონაწილეობის როლი და ფარგლები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედეგების შეფასების წესი მოიცავს სტუდენტის შეფასების შედეგების ანალიზს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ასევე გამოიყენება, როგორც სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;

- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- პლაგიარიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმები.
- საგანამანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- ელექტრონული პორტალი -batus1.ini.ge;
- ვებგვერდი - batu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გასაჩივრების მექანიზმის დებულების გამჭვირვალობის და სტუდენტებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ლექტორის (რომლის შეფასებაც გასაჩივრდა) სააპელაციო კომისიაში მონაწილეობის როლი და უფლებამოსილება.
- შეცვალეთ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რათა სტუდენტების შრომა შეფასდეს ერთზე მეტჯერ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურსების „მეწარმეობის საფუძვლების“ და „შემოქმედების ფსიქოლოგიის შესავალის“ შუალედური გამოცდის თარიღის შეცვლა, ისე რომ დასკვნით გამოცდამდე გონივრული ვადა იყოს დარჩენილი;
- შეცვალეთ რეგულაცია პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის შეფასებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოთ რომ შეფასება შედგეს არა ყველა, არამედ კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.
- პლაგიატის შემთხვევაში გამჭვირვალე გახადეთ, თუ როგორ ადგენენ დარღვევის დონეს პასუხისმგებელი მასწავლებლები და როგორ განიხილება პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის შედეგები.
- პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმი დაინერგოს უფრო ადრეულ კურსებზეც, სადაც კურსის ხასიათი იძლევა ამის საშუალებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების საკითხებზე შესაბამისი კონსულტაციებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის აუცილებელი მექანიზმები.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ისინი იღებენ კონსულტაციას აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან. კონსულტაციის საათები განსაზღვრულია ლექტორების მიერ და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

სტუდენტები იღებენ კონსლტაციებს ადგილზე დაწესებულებაში და ასევე კომუნიკაციის ელ. გზით. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი აძლევს რჩევას სტუდენტებს მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, კარიეული შესაძლებელობების, კლასგარეშე აქტივობებისა და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ. ინტერვიუს შედეგების მიხედვით, BATU -ს პერსონალი ასევე ეხმარება სტუდენტებს, რომ ინტეგრირდნენ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში.

სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა კრეატიულ პროექტში, კონკურსში, მოდის კვირეულში, გამოფენასა და ასევე კონფერენციაში. სტუდენტების მონაწილეობა ზემოხსენებულ აქტივობებში დადასტურდა ვიზიტის დროს. დაწესებულება ასევე აორგანიზებს მასტერკლასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, და იწვევს დარგის სპეციალისტებს სტუდენტებისთვის.

სტუდენტთა დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. BATU-ს წარმომადგენლის განმარტებით, უსდ გეგმავს ერასმუს+ ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, თუმცა უფრო კონკრეტული ახსნა

და მტკიცებულება ამ მხრივ წარმოდგენილი არ ყოფილა. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მხრივ.

ძირითადად სტუდენტები ინფორმაციას ადგილობრივი/საერთაშორისო ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ იღებენ ელ. ფოსტით და დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდით. უსდ-ს ასევე აქვს ელ. სწავლის მართვის პორტალი (ელ. ჟურნალი). „Ini.ge Group“ - თან ხელშეკრულების ფარგლებში შეიქმნა სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა - batus1.ini.ge, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დარეგისტრირდნენ კურსებზე, გაეცნონ პროგრამას და სილაბუსებს, აკონტროლონ შეფასების შედეგები, ლექტორებთან და ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პორტალი ჯერ კიდევ გაუმჯობესების პროცესშია, რათა სრულად გამოიყენოს თავისი ფუნქციები და ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე.

დაწესებულებას აქვს კარიერული მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები სტუდენტებისთვის. ამ მიზნით, კარიერის მხარდაჭერის ოფისი ახორციელებს შესაბამის საქმიანობას - აძლევს სტუდენტებს კარიერულ რჩევებსა და ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ, აკავშირებს მათ პოტენციურ დამსაქმებლებთან და ა.შ. ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სტუდენტები/კურსდამთავრებულები ასევე იღებენ მხარდაჭერას აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან.

დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და მონაწილეობა დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ერთობლივ პროექტებსა და აქტივობებში.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესწავლისა და მათი უკუკავშირის გათვალისწინების მიზნით დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას (კმაყოფილების გამოკითხვა; კურსის შეფასება). როგორც უსდ-ს წარმომადგენლებმა ახსენს, კურსის შეფასების კითხვარი ტარდება არა ყოველსემესტრულად, არამედ აკადემიური წლის ბოლოს, იმიტომ რომ კურსები დაყოფილი რამდენიმე ნაწილად და მეტი დროა საჭირო მთლიანი სურათის შესაფასებლად. კვლევების შედეგების ანალიზი ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის შეხვედრებზე.
საერთო ჯამში, BATU უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას, სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით. არსებობს მხოლოდ ერთი გამონაკლისი - საერთაშორისო სტუდენტური გაცვლითი პროგრამების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- "კრეატიული აქტივობები"
- მემორანდუმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები;
- ელექტრონული პორტალი -batus1.ini.ge;

- ვებგვერდი - batu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სათანადო შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

შეესაბამება საბაკალავრო პროგრამისთვის

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან

დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის დიზაინი" ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პეროსნალის მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო გამოქვეყნებით, ასევე მონაწილეობით საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებსა და გამოფენებში. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციასთან მიმართებით, ის შესაბამისია იმ ცოდნისა და გამოცდილების, რაც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ნაწილში.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რიცხვი და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას, ასევე შემოქმედებითი და სხვა აქტივობების მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

უსდ-მ განსაზღვრა აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები მათი სამუშაო აღწერილობის, ფუნქციებისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით; პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებით და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. უნივერსიტეტის შრომითი კონტრაქტი და შიდა რეგულაციები ნათლად აღწერს დამსაქმებლის უფლებამოსილებებს, დასაქმებულის თანამდებობრივი სარგოს, სამუშაო დღეს, შვებულების პირობებს, ხელშეკრულების ვადას და მისი შეწყვეტის საფუძველს. აკადემიურ პერსონალს აქვს აფილირების ხელშეკრულება უნივერსიტეტთან, რომელიც რეგულირდება შესაბამისი წესებით. წესში მითითებული პროცედურები არის გამჭვირვალე და ინფორმაცია ყველა ეტაპზე არის ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი მხარეებისთვის.

აკადემიური პერსონალი მოიცავს პროფესორებს და ასოცირებულ პროფესორებს. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით დადგენილ სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რიცხვი და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას, ასევე

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისა სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც რეგულირდება BATU-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესებით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობრივი ინდიკატორები მოცემულია ცხრილში:

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**18**	**18**	**6**	**6**
- პროფესორი	4	4	3	3
ასოცირებული პროფესორი	5	5	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	8	8	-	_
სამეცნიერო პერსონალი				_

იმის გამო, რომ ხელოვნებისა და დიზაინის სფეროში არ არსებობს სადოქტორო მიმართულება, გარდა სამეცნიერო დისციპლინებისა (მაგალითად, ხელოვნების ისტორია), პერსონალის უმეტესობას, რომლებიც ასწავლის მხატვრულ და ტექნოლოგიურ საგნებს არ აქვს დოქტორის ხარისხი, დარგის ბუნებიდან გამომდინარე. ამასთან, უნივერსიტეტის წესდება უფრო ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რადგან ისინი ითხოვენ დოქტორის ხარისხს დიფერენციაციის გარეშე.

სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, „პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, უნივერსიტეტი იწვევს კადრებს (ძირითადად I კატეგორიის სპეციალისტებს), რომლებიც არიან დარგის კვალიფიციური სპეციალისტები.

პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი სამუშაო დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას დაკისრებულ ვალდებულებებზე დაყრდნობით.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ასევე ჩართულია კონსულტაციასა და პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და მართვისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. დამატებით, ის არის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შესაბამისად მისი კომპეტენცია არის მაღალი არამხოლოდ პროგრამასთან მიმართებით, არამედ ხარისხის განვითარების მიმართულებით. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საკითხი წამოიჭრა და კომენტარები მითითებულია ქვემოთ.

საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი“ ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სხვა სერვისების მხარდაჭერით. პროგრამას უშუალოდ ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც დასაქმებულნი არიან უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. დამხმარე პერსონალი ჩართულია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს წარმოადგენენ დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის მენეჯერი, ფაკულტეტის ბიბლიოთეკარი და სპეციალისტები.

პროგრამის ადამიანური რესურსები შესაბამისობაშია სტანდარტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი
- BATU საგანამანთლებლო პროცესის რეგულაცია (პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, მუხლი 2) - http://batu.edu.ge/text _files/ge_file_2260_1.pdf;

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და

საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

შეუსაბამოა საბაკალავრო პროგრამისთვის

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

BATU-სთვის მნიშვნელოვანია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მნიშვნელობა არა მხოლოდ კომპეტენციის, არამედ ადეკვატური ხელფასის კუთხითაც - საკითხი, რომელიც თამამად არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში.

პერსონალის მცირე გუნდიდან გამომდინარე, ბევრი კრიტიკული საკითხის გადაწყვეტა ხდება არაფორმალურ კონტექსტში. მათი სწავლების ვალდებულებებისადმი და ასევე პროგრამის შემდგომი დახვეწისადმი ერთგულება გამოიკვეთა ინტერვიუების დროს, თუმცა ყველა პედაგოგი არ იცნობდა შეფასების და მონიტორინგის ფორმალურ მექანიზმებს.

BATU აქტიურად უჭერს მხარს პერსონალს, რომ განავითარონ თავიანთი სამეცნიერო და შემოქმედებითი სამუშაო მაგ. კონფერენციებზე დასწრებით ან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით. ვერ მოიძებნა რამე მხარდაჭერა სწავლების მეთოდებში დამატებითი კომპეტენციების მოპოვებისა და პედაგოგიური უნარების თვითრეფლექსიის კუთხით, ასევე თავად მასწავლებლები არ გამოხატავდნენ გარკვეულ საჭიროებას ამ კონტექსტში. საერთაშორისო განვითარებისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის გამოწვევის გათვალისწინებით, BATU-მ უნდა გაზარდოს ცნობიერება ამ კუთხით.

რამდენად აქვს შეფასების შედეგებს კონკრეტული გავლენა პერსონალის პროფესიულ გაუმჯობესებაზე, ვერ დადასტურდა, მაგრამ კვლავ, ინტენსიური და უწყვეტი არაფორმალური კომუნიკაციის გათვალისწინებით, პერსონალსა და პროგრამის ხელმძღვანელს შორის და ყველა ჩართული პერსონალის მტკიცე ვალდებულების გათვალისწინებით, არ არსებობს საფუძველი, რომ ეჭვი შევიტანოთ უწყვეტი გაუმჯობესების საერთო მიზნებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ამინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობების დანერგვა სწავლების მეთოდებისა და პედაგოგიური კომპეტენციის კუთხით,

განსაკუთრებით სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით - სამეცნიერო და მხატვრული/დიზაინის პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული საქმიანობის შესაბამისი ხარისხით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შექმენით შეფასების შედეგების განხილვის კონკრეტული შესაძლებლობები, პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილებით, იქნება ეს ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ დონეზე.
- შექმენით პროგრამის ხელმძღვანელისთვის პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობები, განსაკუთრებით საერთაშორისო ქსელის კუთხით დიზაინის/მოდის დიზაინის კონტექსტში (მაგ. CUMULUS კონფერენციებში მონაწილეობა, პროექტის აქტივობები ევროპულ დონეზე, ან ELIA ლიდერთა სამიტებში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☒	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოდის დიზაინის პროგრამისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახელოსნოებს შესაბამისი და უახლესი ტექნოლოგიური აღჭურვილობით და სივრცეებს ინდივიდუალური სტუდენტების მუშაობისთვის.

BATU გთავაზობთ სამკერვალო სახელოსნოს, რომელიც ფარავს ამ სფეროში მოთხოვნების უმეტეს ნაწილს, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის არა მხოლოდ ლექციის დროს, არამედ ინდივიდუალური მუშაობისთვისაც. სხვა შესაბამისი ტექნოლოგიები, როგორიცაა ბეჭდვა, შეღებვა, ქსოვა ან ქსოვა, არ არის შემოთავაზებული უშუალოდ BATU-ში, მაგრამ არის გარკვეული თანამშრომლობა გარე ობიექტებთან, რომლებიც ძირითადად ხელმისაწვდომია კურსდამთავრებულებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმთან დაკავშირებული საჭიროებები ძირითადად დაფარულია, მოდის დიზაინის საერთაშორისოდ განახლებული პროგრამა ზემოთ ნახსენები შესაბამისი სასწავლო ცვლილებით მოითხოვს წარმოების უფრო ფართო სპექტრს, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნოლოგია და მიეცეთ საშუალება ჩაატარონ ექსპერიმენტები და გაიარონ სპეციალიზაცია სხვადასხვა სფეროში, რაც მათ საშუალებას აძლევს გაიღრმაონ თავიანთი ინდივიდუალური სტილი როგორც მოდის დიზაინერებმა.

ნათელია, რომ ბიუჯეტის შესაძლებლობები არ იძლევა საშუალებას შეიქმნას იდეალური სიტუაცია ერთბაშად, მაგრამ ჩვენი მხრიდან რეკომენდებულია შეიქმნას განვითარების სტრატეგია, საკუთარი რესურსების ნაზავით და გარე მომწოდებლებთან გაძლიერებული თანამშრომლობით.

საბიბლიოთეკო რესურსები საკმარისად ფარავს ყველა კურსის სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას და ასევე გთავაზობთ ლიტერატურის ფართო სპექტრს შესაბამისი სფეროებიდან, აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო მონაცემთა ბაზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტი დაწესებულების შენობებში, მოიცავს სახელოსნოებს და ბიბლიოთეკას.
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შეისწავლეთ რელევანტური საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოდის დიზაინში, მათი სახელოსნოების მოწყობისა და სტუდენტების მიერ ინდივიდუალურად წარმოების შესაძლებლობების კუთხით.
- შეიმუშავეთ განვითარების კონკრეტული სტრატეგია სახელოსნოებისა და დამატებითი ტექნოლოგიების გაფართოებასთან დაკავშირებით, საკუთარი რესურსებისა და გარე პროვაიდერებთან გააქტიურებული თანამშრომლობის კომბინაციით; დარწმუნდით, რომ ყველა შესაძლებლობა და რეგულაცია გამჭვირვალეა სტუდენტებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს ფინანსურ კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ სტაბილურობას. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში სტაბილური და დაბალანსებულია. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება ორი ძირითადი წყაროდან: (1) საქართველოს მთავრობის მიერ უნივერსიტეტის სუბსიდიები და (2) უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავალი, რომელიც მოიცავს (ა) სუბსიდიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისგან და (ბ) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ გადახდილ სწავლის საფასურს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გამოითვლება: პროგრამებში ჩართული პერსონალის ხელფასი, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა, ინვენტარი და სახარჯო მასალები, არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია და მოვლა, კომუნალური ხარჯები.

პროგრამისთვის ცალკე ბიუჯეტი არ არის წარმოდგენილი. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ცალკე პროგრამის ბიუჯეტი არ არის შემუშავებული, რადგან პროგრამა ფინანსდება დაწესებულების ბიუჯეტიდან, თუმცა შიდა მოხმარებისთვის ადმინისტრაციამ გამოითვალა პროგრამის მიწოდების ღირებულება. პროგრამის საჭიროებები ფინანსდება დაწესებულების ბიუჯეტიდან. ექსპერტების ჯგუფმის რჩევაა, ცალკე ბიუჯეტების შემუშავება (არა მხოლოდ ხარჯის მხრივ, არამედ მოსალოდნელი შემოსავლის გათვალისწინებით) თითოელი პროგრამისთვის. ეს თავისმხრივ უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასს და პროგრამის მენეჯმენტს. ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.

მეორე მხრივ, BATU-ს, როგორც ჩანს, აქვს სტუდენტების დამატებით მოთხოვნა, დამატებით ხარჯთან ერთად (მაგალითად, იტალიური ენის კურსი). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაფასებთ ამ ვალდებულებას სტუდენტის სურვილების მიმართ, ჩვენ ვთავაზობთ ყველა (დამატებითი) საბიუჯეტო ვალდებულების დაფუძნებას სტრატეგიული განვითარების გეგმებზე, ყველა დამატებითი ხარჯის შეფასებას მათი წვლილისთვის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- უნივერსიტეიტს ბიუჯეტი 2021-2023 წლებისთვის
- ინტერვიები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შეიმუშავეთ პროგრამისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტები. ეს ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვას და პროგრამების მენეჯმენტს.
- ასახეთ დამატებითი ფინანსური მოთხოვნები მოდის დიზაინის პროგრამის სტრატეგიული მიზნების კუთხით.
- პროგრამის ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად დაფინანსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შიდა რეგულაციებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია და დამსაქმებლები) ჩართულობას პროგრამის ხარისხის შეფასებაში. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების კოორდინაცია და მონიტორინგი კოორდინირებულია როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტებისა და დარგობრივი დეპარტამენტების მიერ. უნივერსიტეტი ატარებს აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტების გამოკითხვებს, ასევე აანალიზებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან თანამშრომლობით ჩაატარეს პროგრამის თვითშეფასება. სამუშაო ჯგუფების სამუშაო პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები და ფასილიტირებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, მიმდინარეობდა როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურად. სამუშაო ჯგუფი შეიქმნა რექტორის ბრძანებით (No. 01-08/02, 12. 02.2021) თვითშეფასებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რექტორის 2023 წლის 07 თებერვლის N01-08/04 ბრძანებით შეიქმნა კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი თვითშეფასების მიზნით. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყო ორივე სამუშაო ჯგუფში, რათა პროგრამის შესაბამისობაში მოყვანილიყო კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივ დამახასიათებლებთან.
გარკვეული ცვლილებები განხორციელდა თვითშეფასების პროცესის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ: მაგალითად, ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში (2018-2023) სილაბუსები განახლდა, კურსების შინაარსიც განახლდა და დაეფუძნა ახალ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურას, კურსები შინაარსობრივად გაფართოვდა და სწავლა/სწავლების რესურსებიც განახლდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპს. უნივერსიტეტი შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმებს და ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ანგარიშებს. უნივერსიტეტმა მიიღო პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის სპეციალური რეგულაციები „კორონავირუსის გავრცელების პრევენციის სამოქმედო გეგმა“(რექტორის ბრძანება №01-08/26; 19 ივნისი, 2020 წ.), რომელიც ძირითადად აღწერს რა და როგორ უნდა გაკეთდეს პრევენციის თავიდან ასაცილებლად, როდესაც ლექციები მიმდინარეობს კამპუსში.

კდიევ ერთი რეგულაცია (ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული/დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; რექტორის ბრძანება № 04-01/07; 06 ოქტომბერი, 2020 წ.) განსაზღვრავს, თუ როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს, როდესაც ლექციები ელექტრონულად/ონლაინ ტარდება.

პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახურის უფროსი ამავდროულად, და რთული გამოწვევის წინაშე დგას ინტერესთა კონფლიქტის არსებობის თვალსაზრისით. თუმცა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კარგად დაბალანსებული თანამშრომლობა პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელს შორის; მიზანშეწონილი იქნება სპეციალური რეგულაცია, რომელიც ზღუდავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას ყველა საკითხზე, რომელიც ეხება მოდის დიზაინის პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://batu.edu.ge/text_files/ge_file_20_1.pdf
- გაუმჯობესების გაუმჯობესების ციკლი "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე"
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
- კორპონავირუსის გავრცელების პრევენციის სამოქმედო გეგმა (რექტორის ბრძანება №01-08/26; ივნისი 19, 2020)
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი/არაპირდაპირი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ანგარიშები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დამსაქმებლების კვლევის შედეგები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და პერსონალი
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული/დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; რექტორის ბრძანება № 04-01/07; ოქტომბერი 06, 2020
- ინტერვიები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შექმენით ფორმალური რეგულაცია, რომელიც გააუქმებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფორმალურ პასუხისმგებლობას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება მის ფუნქციას, როგორც მოდის დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

BATU-ს ძირითადი გარე შეფასების ინსტრუმენტია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული აკრედიტაცია და ავტორიზაცია. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამული აკრედიტაცია არის პროგრამული შეფასება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისობას აკრედიტაციის ეროვნულ სტანდარტებთან. გათვალისწინებული იქნა წინა აკრედიტაციის პროცესში, 2018 წელს, გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. 2021 წელს, 3 წლიანი შეფასების ანგარიში გაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

უნივერსიტეტი იყენებს კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და ურთიერთ შეფასების შედეგებს, როგორც ხარისხის გარე შეფასების კიდევ ერთ ინსტრუმენტს. ეროვნული დარგობრივი ნიშნული, რომელიც შემუშავდა და მიღებულ იქნა საქართველოში 2023 წელს, მნიშვნელოვანი საფუძველი იყო პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის შეფასებისთვის.

უნივერსიტეტის ასევე იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც კეთდება უცხოურ უნივერსიტეტებში დასაქმებული ექსპერტების მიერ, როგორც გარე შეფასების ინსტრუმენტი. შეცვლილი პროგრამის სამუშაო ვერსიის გარე მიმოხილვა ჩაატარა კიევის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა (უკრაინა). ამ კონტექსტში ძალიან გასაკვირია, BATU-ს აღიარება, როგორც მდგრადი განვითრების მიმართულებით მომუშავე

დაწესებულების და თავად BATU -ს მიერ ამ აღიარების არცოდნა. ცხადია, გარე შეფასება განხორციელდა პროგრამის ფორმალური მიზნებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე, რეალური პრაქტიკის გათვალისწინების გარეშე. ვინაიდან ეს ხარვეზი ეხება პროგრამის მიზნის ძირითად ელემენტს - სოციალურ პასუხისმგებლობას - ურთიერთშეფასების ჯგუფმა უნდა გამოიტანოს შემდეგი დასკვნები:

- პროგრამის ზოგიერთი მიზანი არ არის სათანადოდ გადატანილი პროგრამის პრაქტიკაში;
- გარე შემფასებლებს არ აქვთ საკმარისი პრაქტიკული შეხედულებები;
- გარე შეფასების შედეგები არ არის გათვალისწინებული ისე, როგორც ეს აუცილებელი იქნებოდა ხარისხის ეფექტური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წინა აკრედიტაციის ჯგუფის შეფასების ანგარიში 2018 - https://eqe.ge/media/10905/20190307173132189.pdf
- განმავითარებელი შეფასება უცხოელი კოლეგების მხრიდან
- დამსაქმებლების კვლევის შედეგები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და პერსონალი
- ინტერვიები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის თვითშეფასება

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ გარე შემფასებლები იღებენ ყოვლისმომცველ მონაცემებს თავიანთი მუშაობისთვის, და დარწმუნდით, რომ გარე შეფასების ყველა შედეგი სათანადოდ არის განხილული და გათვალისწინებული შემდგომი განვითარებისთვის;

- დარწმუნდით, რომ პროგრამის ყველა მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგი - ამ შემთხვევაში, სოციალური პასუხისმგებლობა / მდგრადი განვითარება - სათანადოდ არის გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისთვის (ასევე იხილეთ რეკომენდაციები სტანდარტი 1.2).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☐	☒	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე პასუხისმგებელ განყოფილებებთან ერთად აკონტროლებს სასწავლო პროცესს და აანალიზებს კვლევების შედეგებს და სტატისტიკურ მონაცემებს. უნივერსიტეტში ყველა კვლევა ხორციელდება ელ. სისტემის საშუალებით. ყველა სავალდებულო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ კურსს (კითხვარით). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულებთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ასევე დამსაქმებლების კვლევებს. რეგულარულად განიხილება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რჩევები საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც შეიძლება გახდეს კურსების ჩანაცვლების, სავალდებულო კურსების კრედიტების რაოდენობის ცვლილების ან/და არჩევითი კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო ლიტერატურის და მასალების განახლების საფუძველი.
კვლევის შედეგები არის პროგრამის შემდგომი განვითარების და მოდიფიცირების საფუძველი.

პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში უნივერსიტეტი ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის თვითშეფასებას და აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას. ფასდება აკადემიური პერსონალის პედაგოგიური საქმიანობა, შემოქმედებითი/სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად უნდა შეადაროს საგანმანათლებლო პროგრამა უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, ასევე მოამზადოს დეტალური შედარებითი ანალიზი, რათა პროგრამამ დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები და გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ასევე სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული სალექციო დაკვირვების შაბლონის გამოყენებით - პრაქტიკა, რომელიც თვითშეფასების ანგარიშში იყო აღნიშნული, როგორც მიმდინარე, მაგრამ ინტერვიუების დროს აღმოჩნდა არარსებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- გაუმჯობესების ციკლი "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე- განავითარე"
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
- კორპონავირუსის გავრცელების პრევენციის სამოქმედო გეგმა (რექტორის ბრძანება №01-08/26; ივნისი 19, 2020)
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი/არაპირდაპირი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ანგარიშები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი
- წინა აკრედიტაციის ჯგუფის შეფასების ანგარიში 2018 - https://eqe.ge/media/10905/20190307173132189.pdf
- განმავითარებელი შეფასება უცხოელი კოლეგების მხრიდან
- დამსაქმებლების კვლევის შედეგები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და პერსონალი
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული/დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; რექტორის ბრძანება № 04-01/07; ოქტომბერი 06, 2020
- ინტერვიები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის თვითშეფასება

რეკომენდაციები:

- პერიოდულად შეადარეთ საგანმანათლებლო პროგრამა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსს პროგრამებთან, ასევე მოამზადეთ დეტალური შედარებითი ანალიზი პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კვლავ შეეცადეთ განახორციელოთ კოლეგებს შორის გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების პროცესი, როგორც ბხსუ–ს კოლეგებს შორის ღია გაცვლითი კულტურის ნაწილი, რაც ასევე ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების უნარების შემდგომ გაფართოებას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი,

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახლწოდება, დონე:

მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა - დონე 6, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☒	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

მაია გრძელიძე

ნინო მგალობლიშვილი

ია ნაცვლიშვილი